ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 2 ოქტომბერი, 2017 №233 (7467) ფასი: 50 თეთრი

„ზუგდიდის“ ფეხბურთელი, შოთა მამინაშვილი, მატჩის დაწყების წინ გარდაიცვალა



გვ.9

28 სექტემბრიდან

მანანა ხვედელიძე

ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია

ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი




# შორენა თეთრუაშვილი: „პატრიარქმა კონკორდატს გვერდი აუარა“



„კონკორდატში პირდაპირ წერია, რომ ხელის მოწერის უფლებამოსილება აქვთ პატრიარქს, ქორეპისკოპოსს, მდივანსა და ასევე პატრიარქის მიერ უფლებამინიჭებულ ადამიანს“ გვ.2



„ხელისუფლებამ თვითგანადგურების მანქანა უკვე ჩართო“ გვ.3



## ნინო ბურჯანაძე: „მალე ივანიშვილი გვიკარნახებს, ვინ ვინ მოიყვანოს ცოლად, ვინ სად ისწავლოს და სად იცხოვროს“





რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიციას ამ არჩევნებშიც სერიოზული შოკი ელოდება“ გვ.2

## გიორგი ახვლედიანი: „საქართველოში ადამიანები კომბალს აიღებენ ხელში“ გვ.4



**სამართალი** გვ.7



ქუმურდოს მცხოვრებნი: „თუ ჯვრის დადგმის საშუალებას არ მოგვცემენ, აქ ომი მოხდება“



უჩა ნანუაშვილი ციანიდის საქმეზე დასკვნას მალე გამოაქვეყნებს



ბათუმში მშენებლობაზე 5 ადამიანი დაშავდა

**ეკონომიკა** გვ.7

თბილისში ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრი გაიხსნა



ლექსო ალექსიშვილი: „საქართველოში ვალები უფრო მეტია, ვიდრე — ინვესტიციები“ გვ.6





რა პრობლემები აქვთ ქართული ხილ-ბოსტნეულის ექსპორტიორებს

გაკოტრებული რუსული ავიაკომპანია „ვიმ-ავიას“ მგზავრებს „საქართველოს ავიახაზები“ მოემსახურება გვ.6

ISSN 1987-9385

11 ანა ურუშაძემ საერთაშორისო კინოფესტივალზე 50.000 დოლარი მოიგო

10 ბარსელონაში რეზინის ტყვიები ისროლეს

5 რას ელის საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტისგან

11 „საბამ“ გამარჯვებულები დაასახელა

# რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიციას ამ არჩევნებშიც სერიოზული შოკი ელოდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.



***– ბატონო რამაზ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, სხვა არჩევნებთან შედარებით, არც ისე ხმაურიანია. თუმცა, ჩვენ ვხედავთ, როგორ მძაფრად მიმდინარეობს წინასაარჩევნო კამპანია თბილისის მერობის კანდიდატებს შორის. სხვაგან არჩევნები არც იგრძნობა. ეს იმიტომ, რომ დედაქალაქის მერობა ერთგვარი პოლიტიკური განაცხადია?***

– აბსოლუტურად გეთანხმებით. დიახ, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით არის არჩევნები, თითქოს სხვაგან არჩევნები არ არის, არ იგრძნობა. ადამიანს ეგონება, რომ მხოლოდ თბილისის მერს ვირჩევთ. თბილისის მერობა, სადაც ლამის ნახევარი საქართველო ცხოვრობს, რასაკვირველია, ნამდვილად არის პოლიტიკური განაცხადი. კი ამბობენ, რომ მერი მეურნე უნდა იყოს და ის ნაკლებად არის პოლიტიკური თანამდებობა, მაგრამ ასე არ არის, თბილისის სტატუსი, ამ თანამდებობას, რა თქმა უნდა პოლიტიკურ დატვირთვას აძლევს და მას პოლიტიკურ თანამდებობად ხდის.

სიტუაცია კიდევ უფრო გამძაფრდა მას შემდეგ, რაც ოპოზიციის რეიტინგები გამოქვეყნდა. ოპოზიცია მდევრის როლშია. მათ უკვე დასაკარგი არაფერი აქვთ და ახლა მიმდინარეობს ბრძოლა იმისთვის, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის მოემზადონ. რომ ვუყურებ ოპოზიციას, თითქოს ისინი საპარლამენტო არჩევნებისთვის უფრო ემზადებიან, ვიდრე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოსაგებად.

***– პოლიტოლოგების ნაწილი ამბობს, რომ ადგილობრივი არჩევნები ბევრ რამეს დაალაგებს და სურათს უფრო გამოკვეთს. იზიარებთ ამ შეხედულებას?***

– არჩევნები ყოველთვის ფილტრია. ამომრჩეველი ყოველთვის მიუჩენს თავის ადგილს ყველა პარტიას. გახსოვთ, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე რა მოხდა, როგორ განვითარდა მოვლენები. იმ არჩევნების შედეგად პარტიები უბრალოდ გაქრნენ, პოლიტიკიდან წავიდნენ ლიდერები. ეს ამომრჩეველმა გააკეთა.

***– შესაძლებელია ასე განვითარდეს მოვლენები ამჯერადაც?***

– მეტიც, შეიძლება უფრო მძიმე სურათი მივიღოთ. 2016 წელს ერთ-ერთი შოკი იყო ის ფაქტი, რომ მაჟორიტარებმა ვერცერთ ოლქში ვერ გაიმარჯვეს, თუ არ ჩავთვლით დამოუკიდებელ კანდიდატ სალომე ზურაბიშვილს.

***– რომელსაც ხელისუფლებამ კონკურენტი არ დაუყენა.***

– დიახ. ეს სერიოზული შოკი იყო ოპოზიციისთვის. მაჟორიტარულ არჩევნებში წამყვანი მაინც პიროვნებაა და არა – პარტია. მიუხედავად ამისა, მაინც მოხდა ის, რაც მოხდა. ასევე არის ადგილობრივ არჩევნებში, სადაც პარტიული მანქანა მაინც უკანა პლანზეა და წინ მოდიან პიროვნებები, კანდიდატები. თუ ამ შემთხვევაშიც მოხდება იგივე, რაც მოხდა 2016 წელს, მაშინ ეს იქნება სერიოზული შოკისმომგვრელი მოვლენა ოპოზიციისთვის.

***– რა არის ამის მიზეზი?***

– ოპოზიციამ ვერაფერი ისწავლა, წინა არჩევნები ვერ გახდა გაკვეთილი მისთვის. ოპოზიცია დღესაც იგივე დარჩა, თავის სტილში. ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქია, რომ კონსტიტუცია არ ვარგა, ის არ არის, რაც ჩვენ გვინდოდა. სხვას არაფერს ამბობს, ეს არ არის რიგითი ამომრჩევლისთვის დამაჯერებელი რიტორიკა. ალტერნატივის შეთავაზება არ ხდება. თითქოს ეს მოინდომა „ევროპულმა საქართველომ“, მაგრამ მას ისეთი ტვირთი ადევს „ნაციონალური“ წარსულის გათვალისწინებით, რომ არ მგონია, ამან რაიმე შედეგი მოუტანოთ.

***– რამდენად იზიარებთ მოსაზრებას, რომ არჩევნებში მხოლოდ პარტიული აქტივი მონაწილეობს? თუ ნიჰილისტურად განწყობილი ამომრჩევლის პროცენტულ მაჩვენებელს გავითვალისწინებთ, რაც დაახლოებით 60%-ია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მართლაც ასეა?***

– თუ 2012 წლის არჩევნებს გავითვალისწინებთ, მაშინ ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებ, რადგან ამომრჩევლის აქტიურობა არნახულად მაღალი იყო.

***– 2012 წლის არჩევნები ლამის ხავერდოვანი რევოლუცია იყო.***

– ზუსტი ნათქვამია. მაშინ სრულიად განსხვავებული პოლიტიკური მოცემულობა იყო. მიუხედავად ამისა, მაინც მიდიან ადამიანები არჩევნებზე. თუმცა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ამ მხრივ არ გამოირჩევა. ევროპაშიც აქტივობა, როგორც წესი, დაბალია. თვითმმართველობის არჩევნებზე კიდევ უფრო დაბალია. ევროპაშიც დაახლოებით ასე არიან ადამიანები განწყობილნი, როდესაც მათაც არცერთი პარტია არ მოსწონთ. თუმცა, აქ არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც: თუკი კრიტიკულ ზღვარს გადააბიჯეს ნიჰილისტური განწყობების მქონე ადამიანებმა, ამას უსათუოდ მოჰყვება თავისი პოლიტიკური შედეგი.

***– და რა არის ეს შედეგი?***

– პროტესტი და სოციალური უკმაყოფილების მობილიზება საზოგადოებაში, რაც ხშირად ქუჩაში გადმოდის ხოლმე

# შორენა თეთრუაშვილი: „პატრიარქმა კონკორდატს გვერდი აუარა“

შორენა მარსაგიშვილი

**ციანიდის საქმის სკანდალებს ბოლო არ უჩანს. ქართული ტელევიზიები ერთმანეთის მიყოლებით ასაჯაროებენ დახურულ სასამართლოზე მიცემულ ჩვენებებს. 30 სექტემბერს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-მა პატრიარქის მდივან-რეფერენტ შორენა თეთრუაშვილის ჩვენების აუდიოჩანაწერი გაასაჯაროვა.**

ამ ჩანაწერის გასაჯაროების შემდეგ ისედაც ჩახლართული საქმე კიდევ უფრო ჩაიხლართა. ჩვენების გასაჯაროებას ერთი დადებითიც ახლდა თან – საზოგადოებამ ალაპარაკებული ყოვლისშემძლე შორენა პირველად იხილა.

თეთრუაშვილის ჩვენებიდან ირკვევა, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე საპატრიარქოში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან თანამდებობაზე პატრიარქის მოთხოვნით დაინიშნა. პატრიარქის მდივან-რეფერენტის თქმით, პირადად ილია II-ის სურვილი იყო, ბათუმის ეპარქიიდან მღვდელი თბილისში გადმოეყვანა.

როგორც შორენა თეთრუაშვილი აღნიშნავს, თავიდან დეკანოზს სულ სხვა სამსახურის უფროსად ნიშნავდნენ. ეს ამბავი მდივან-რეფერენტმა, როგორც თავად ამბობს, პატრიარქის დაცვის აწ უკვე ყოფილი უფროსის სოსო ოხანაშვილისგან გაიგო.

დეკანოზისთვის სოფლის მეურნეობის დარგი უნდა ჩაებარებინათ, მაგრამ ამ საქმეს უკვე ჰყავდა ხელმძღვანელი. თეთრუაშვილის თქმით, ის ადამიანი რაღაც დროის განმავლობაში თანამდებობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ მოგვიანებით უკან დააბრუნეს.

პატრიარქის მდივან-რეფერენტი ამბობს, რომ მან ამ ადამიანთან მიმართებით თავი უხერხულად იგრძნო და ოხანაშვილს უთხრა, კარგი იქნებოდა, თუ მამა გიორგი სხვა, ვაკანტურ თანამდებობაზე დაინიშნებოდა.



იმ დროისთვის ვაკანტური ქონების მართვის სამსახური აღმოჩნდა. მამა გიორგის ეს თანამდებობა თავად პატრიარქმა შესთავაზა, რასაც საპატრიარქოში სერიოზული დაპირისპირება მოჰყვა.

თეთრუაშვილმა განაცხადა, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძის ახალ თანამდებობაზე დანიშვნით ქორეპისკოპოს იაკობს პატრიარქმა წელიწად-ნახევრის წინ დოკუმენტებზე ხელმოწერის უფლება ჩამოართვა. ეს უფლება მან მამა გიორგი მამალაძეს მიანიჭა, რამაც, მისი თქმით, მეუფე გააბრაზა და ის საპატრიარქოში აღარ მიდიოდა.

რაღაც პერიოდის შემდეგ ქორეპისკოპოსი პატრიარქის დაცვის სამსახურის მაშინდელ უფროს სოსო ოხანაშვილს ღიად დაუპირისპირდა.

სასამართლოზე თეთრუაშვილმა კიდევ ერთი სკანდალური განცხადება გააკეთა და ილია II კონკორდატის დარღვევაში დაადანაშაულა.

მდივან-რეფერენტმა განაცხადა, რომ სახელმწიფოსა და საპატრიარქოს შორის ჯერ კიდევ 2002 წელს გაფორმებულ შეთანხმებას პატრიარქმა გვერდი აუარა.

შორენა თეთრუაშვილის ჩვენება რამდენიმე თვის წინ აქვთ მოსმენილი მამა გიორგის ადვოკატებს. ჩვენების გასაჯაროების შემდეგ ისინი ამბობენ, რომ თეთრუაშვილი სასამართლოს შეცდომაში შეყვანას შეეცადა.

ადვოკატ გიორგი ფანცულაიას განმარტებით, თეთრუაშვილმა სასამართლოზე ინფორმაციების გარკვეულ ნაწილში რეალობა დაადასტურა, ხოლო იყო გარკვეული ნაწილი, სადაც მან ცადა სასამართლოს შეცდომაში შეყვანა.

– რეალური ის ნაწილი იყო, რომ მართლაც მეუფე იაკობი განაწყენებული იყო დეკანოზ გიორგი მამალაძეზე და ჩვენ ეს არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ სწორედ მეუფე იაკობისა და შორენა თეთრუაშვილის ჯგუფი დაუპირისპირდა და მეუფე იაკობი სწორედ იმით იყო განაწყენებული, რომ გიორგი მამალაძეს დაევალა, ქონებრივ საკითხებზე განეხორციელებინა სრული მონიტორინგი.

რაც შეეხება მეორე საკითხს, რომელიც უშუალოდ პატრიარქს გადააბრალა ვალდებულება შორენა თეთრუაშვილმა, ამ ნაწილში მან ნამდვილად იცრუა, იმიტომ, რომ კონკორდატში პირდაპირ წერია, რომ ხელის მოწერის უფლებამოსილება აქვს პატრიარქს, აქვს ქორეპისკოპოსს, მდივანს და ასევე პატრიარქის მიერ უფლებამინიჭებულ ადამიანს, – აცხადებს მედიასთან საუბარში გიორგი ფანცულაია.

# პატრიოტთა ალიანსი მოთხოვნების შესასრულებლად ხელისუფლებას დროს 22 ოქტომბრამდე აძლევს



გუშინ, 1 ოქტომბერს, პატრიოტთა ალიანსის წევრებმა აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები თბილისში, ვარდების მოედანზე შეიკრიბნენ, თავისუფლების მოედნის მიმართულებით დაიძრნენ და პარლამენტის შენობასთან შეჩერდნენ. პარტიის ლიდერებმა შეკრებილებს სიტყვით მიმართეს და ხელისუფლების გადადგომა მოითხოვეს.

აქციის ორგანიზატორების თქმით, თუ ხელისუფლება ამ მოთხოვნების შესრულებას არ დაიწყებს, აქციები ყოველდღიურ რეჟიმში წარიმართება და მას მასშტაბური სახე მიეცემა. მათივე თქმით, თუკი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, მოშიმშილეებს პარტიის ლიდერებიც შეუერთდებიან.

– ხელისუფლებას 22 ოქტომბრამდე აქვს დრო, გამოეხმაუროს მოშიმშილეებსა და აქციის ორგანიზატორების მოთხოვნებს, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

პარალელურად, პარლამენტის შენობასთან მოშიმშილეები კვლავ რჩებიან.

პატრიოტთა ალიანსის ლიდერების განცხადებით, აქცია იგეგმება ბათუმში 15 ოქტომბერს, ხოლო 22-ში – ისევ თბილისში.

ნიუპოსტი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნინო ბურჯანაძე: „მალე ივანიშვილი გვიკარნახებს, ვინ ვინ მოიყვანოს ცოლად, ვინ სად ისწავლოს და სად იცხოვროს“

## „ხელისუფლებამ თვითგანადგურების მანქანა უკვე ჩართო“

შორენა მარსაგიშვილი

ითხოვდა თუ არა ივანიშვილი პატრიოტთა ალიანსისა და დემოკრატიული მოძრაობის გაერთიანებას, ვინ არიან „ქართული ოცნების“ სატელიტები, რატომ იღებს ხელისუფლება არჩევნების წინ არაპოპულარულ გადაწყვეტილებებს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე ესაუბრება.

***– ბიძინა ივანიშვილისთვის თბილისის ცენტრში 1 ლარად მიწის გადაცემას დიდი სკანდალი მოჰყვა. მას ეს მიწა დედაქალაქის საკრებულომ დაუკანონა. ვერ ხვდება „ქართული ოცნება“, რომ ასეთი გადაწყვეტილებები მისთვის საზიანოა?***

– არჩევნებამდე 3 კვირით ადრე განიხილება ხელისუფლებისთვის უკიდურესად არაპოპულარული საკითხი, თბილისსა და ბათუმში ივანიშვილს საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვან ადგილებს უკანონებენ. ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ საერთოდ არ აინტერესებს ხალხის აზრი.

არცერთი ჭკვიანი ადამიანი ასეთ ნაბიჯებს არასოდეს არ დგამს, მით უმეტეს არჩევნების წინ. ექსპრემიერი კი უჭკუო ადამიანი ნამდვილად არ არის. დიქტატორულ ქვეყნებშიც კი დიქტატორები ასე არ იქცევიან, არათუ ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის პრეტენზია აქვთ. არჩევნებამდე 2-3 კვირით ადრე არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღებას ერიდება ყველა მმართველი.

ამათ საერთოდ არ აინტერესებს საზოგადოების აზრი და დარწმუნებული არიან იმაში, რომ არჩევნებს არანაირი აზრი არა აქვს – რაც თვითონ მოუნდებათ, იმ ციფრებს დაწერენ. აქედან გამომდინარე, არ ერიდებიან არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღებას.

ოპოზიცია შეკრული და საქმის კეთებაზე მობილიზებული რომ იყოს, დღეს მას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ბოიკოტი უკვე გამოცხადებული უნდა ჰქონდეს. ის, რაც ივანიშვილისთვის მიწების გადაცემასთან დაკავშირებით ხდება, ბოლო მესიჯია, რომ ხელისუფლებას არ აინტერესებს, რა განწყობა ექნება ხალხს. ისინი გაიფორმებენ არჩევნების მოგებას, უბრალოდ, ოპოზიცია ამას ან ვერ მიხვდა, ან არ უნდა, რომ მიხვდეს.

თვითმმართველობის არჩევნებზეც დაახლოებით ისეთი ციფრები დაიწერება, როგორიც გასული წლის საპარლამენტო არჩევნებზე დაიწერეს. ხელისუფლება, რომელიც დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას აპირებს, არჩევნებამდე 3 კვირით ადრე ასეთ არაპოპულარულ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

***– ამას წინ უძღოდა კონსტიტუციის მიღება. ეს ცვლილებები ოპოზიციამ მკვეთრად გააკრიტიკა. თქვენ ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში განაცხადეთ, რომ ასეთი რამ ნებისმიერ ქვეყანაში ხალხის ქუჩაში გამოსვლისა და ხელისუფლების შეცვლის მიზეზი გახდებოდა. ჩვენი საზოგადოების მხრიდან ამაზე რეაგირება არ ყოფილა. სამოქალაქო საზოგადოება არ არის მზად თუ ეშინია?***

– კონსტიტუცია მაინც ძალიან პოლიტიკური თემაა და ჩვენი საზოგადოება ჯერ არ არის მზად იმის გასაანალიზებლად, რომ როცა ქვეყნის მთავარ კანონს თავზე გადაგახევენ, ეს იმის მანიშნებელია, რომ ხალხის აზრი არ აინტერესებთ. ქვეყანა კი ავტორიტარული მმართველობისკენ მიდის. ამ კონსტიტუციით ხელისუფლება არჩევნების გზით ვერ შეიცვლება.

ქვეყანაში არის პოლიტიკური კრიზისი. საზოგადოება უბრალოდ ძალიან დაღლილია პროტესტისა და იმედგაცრუებისგან. ხალხში ჯერჯერობით საპროტესტო მუხტი არ არის. რატომ? იმიტომ, რომ ხელისუფლება არაფერს აკეთებს, მაგრამ მისი მმართველობა მოსახლეობისთვის ჯერჯერობით მტკივნეული არ არის. იმედი მაქვს, ასე გაგრძელდება და საქმე ცოცხებამდე და ხალხის ქუჩაში დახოცვამდე არ მივა.

ადრე თუ გვიან საზოგადოება კონსტიტუციის თავზე გადახევისა და ივანიშვილისთვის მიწების გადაცემის მაგალითზე მიხვდება, თუ რა ტრიალებს მის გარშემო. ეს აუცილებლად გამოიწვევს საპროტესტო მუხტს, მაგრამ ახლა საზოგადოება ამისთვის მზად არ არის.

ვიცი, რომ არჩევნების წინ ძალიან არაპოპულარულ რამეებს ვამბობ, მაგრამ ხალხი არ გამოვაფხიზლოთ? ადამიანები ვერ უნდა მიხვდნენ, რომ ახლა რაც ხდება, მათი შვილების მომავლისთვის არის ცუდი? საზოგადოება ვერ უნდა მიხვდეს, რომ არ შეიძლება, ერთმა კაცმა დედაბუდიანად გვიყიდოს? მალე ივანიშვილი გვიკარნახებს, ვინ ვინ მოიყვანოს ცოლად, ვინ სად ისწავლოს და სად იცხოვროს. მთელი საქართველო მის საკუთრებად გადაიქცა.

***– საზოგადოებაში არის საპროტესტო მუხტი, მაგრამ მათ წინამძღოლი არ ჰყავთ და იქნებ ეს არის იმის მიზეზი, რომ ხალხი ქუჩაში არ გამოდის?***

– ხალხი ფარა ხომ არ არის, რომ მაინცდამაინც ყოჩი მიუძღოდეს წინ? თუ პრეტენზია გვაქვს იმაზე, რომ საზოგადოება ვართ, მაშინ ხმა უნდა ამოიღონ ამ ყველაფერზე. თუ მიგვაჩნია, რომ საზოგადოება კი არა, ფარა ვართ, მაშინ წინამძღოლებიც გამოჩნდებიან და მათ გავყვებით, მაგრამ ფარა არ უნდა იყოს ხალხი!

პოლიტიკოსი ვარ და ყველაფერს თავის სახელს ვარქმევ. გარწმუნებთ, რომ ჩემთვის და ჩემი თანაგუნდელებისთვის არანაირი განსხვავება არ არის მაშინდელ და ახლანდელ მდგომარეობას შორის. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ აღარ გვიჭერენ, თორემ არჩევნები ისევე გაგვიყალბეს და არც სამართლიანობა აღადგინეს ჩვენ მიმართ.

პერსონა ნონ გრატად ვართ ლამის გამოცხადებული – ვინც დემოკრატიულ მოძრაობასთან ახლოს არის, არ შეიძლება, რომ სახელმწიფო სამსახურში მუშაობდეს. ჩვენი თანაპარტიელებისთვის სააკაშვილის დროსაც ყველა კარი დახურული იყო.

***– თქვენ არაერთხელ განაცხადეთ, რომ თვითმმართველობის არჩევნები „ქართული ოცნებისთვის“ საბედისწერო იქნება. იგივე მოსაზრება აქვთ სხვა პოლიტიკოსებსაც. რა გაძლევთ ამის თქმის საბაბს? თავად ამბობთ, რომ საზოგადოება პროტესტისთვის ჯერ მზად არ არის.***

– „ქართული ოცნება“ რომ 22 ოქტომბერს დამთავრდება, ამის ნიშნები ჯერჯერობით ნამდვილად არ ჩანს. ეს არჩევნები იქნება საბედისწერო წერტილი, რის შემდეგაც „ქართული ოცნება“ თვითონვე ჩართავს თვითგანადგურების მანქანას. ივანიშვილსა და მმართველ გუნდს ეს მანქანა ისედაც უკვე ჩართული აქვთ. თავის დროზე სააკაშვილმაც თავისი ხელით ჩართო თვითგანადგურების მანქანა. ძნელი სათქმელია, როდის ამოქმედდება ახლა ეს მანქანა.

თვითმმართველობის არჩევნები არ არის ისეთი მოვლენა, რომელიც ძლიერი კატალიზატორის როლს შეასრულებს, მაგრამ საწყისი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე ნამდვილად გადადგმულია.

***– გასულ კვირას დიდი ყურადღება დაეთმო „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიების თემას. რესპუბლიკურმა პარტიამ დათო უსუფაშვილი დაადანაშაულა ივანიშვილთან გარიგებაში და მის პარტიას „ოცნების“ სატელიტი უწოდა. კახა კუკავამ იგივე თქვა „ევროპული საქართველოზე“. თქვენ პატრიოტთა ალიანსზე გამოთქვით ეჭვი, რომ ისინი ივანიშვილთან არიან გარიგებული. როგორ იქმნებიან სატელიტები?***

– ბიძინა ივანიშვილმა რომ გიგა ბოკერიასთან გარიგებით ჩაატარა საპარლამენტო არჩევნები და გახლეჩილი ნაცმოძრაობა საკანონმდებლო ორგანოში შეიყვანა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ვინმეს თუ ძალიან უხარია, რა მაგარია ივანიშვილი – ნაცები გაყო – ძალიან ნუ გაიხარებენ. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, იქით მხარეს მელია თუ იქნება და აქეთ მხარეს – ბოკერია. ნაცებს ჰყავთ ერთი პატრონი ოკეანის გაღმა. ის თუ ამათ თითს დაუქნევს, საერთოდ დაავიწყდებათ ყოფილ პრემიერთან გარიგება. ისინი იმას გააკეთებენ, რასაც მათ ოკეანისგაღმელი ბატონი დაავალებს.

ბოკერიამ მოახერხა და ეს გარიგება სათავისოდ გამოიყენა. ერთადერთი ოპოზიციური პარტია, რომელსაც ფული აქვს, ესაა „ევროპული საქართველო“. ისიც ნათელია, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ბოკერიას ნაცების მეორე ადგილზე გასაყვანად.

ბიძინა ივანიშვილს აქვს ასეთი სქემა: პირველ ადგილზე გავა „ქართული ოცნება“, მეორე-მესამე ადგილებს ნაცები და „ევროპული საქართველო“ გაიყოფენ, დანარჩენ ადგილებს მისთვის სასურველ პარტიებს მისცემენ.

უსუფაშვილის თემას მე არ შევეხები. მან სულ ახლახან შექმნა პარტია და ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს. თუ ეს პარტია არ იქნება აქტიური და კრიტიკული, კითხვები მათ მიმართ გამძაფრდება.

პატრიოტთა ალიანსთან დაკავშირებით მე მხოლოდ კითხვები დავსვი. ამის უფლება მე, როგორც პოლიტიკოსს, მაქვს. ჩემი კითხვები ნამდვილად იმსახურებდა პასუხის გაცემას, მით უმეტეს, რომ კითხვები ალბათობის ტონით დავსვი და შეურაცხყოფა არავისთვის მიმიყენებია. ნაცების გარდა, ოპოზიციური პარტიების კრიტიკას ძალიან ვერიდები.



„ეს არჩევნები „ქართული ოცნებისთვის“ საბედისწერო იქნება“

ნაცვლად იმისა, რომ პოლიტიკური პასუხი გაეცათ, პატრიოტთა ალიანსიდან ლანძღვა-გინება მივიღეთ. ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ ამ კითხვების საპასუხოდ მეორე მხარეს არგუმენტები არა აქვს და რაღაც რიგზე ვერ არის.

როცა პატრიოტთა ალიანსი მოსკოვში წავიდა, მე ვიყავი ერთადერთი, ვინც მათი ეს გადაწყვეტილება დადებითად შეაფასა. არადა, მიმაჩნდა, რომ შეცდომა იყო მოსკოვისთვის საქართველო-ნატო-რუსეთის ფორმატის შეთავაზება, თუმცა, თუ ისინი ამ მიმართულებით წარმატებას მიაღწევენ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

პატრიოტთა ალიანსი კიდევ თუ წავა მოსკოვში, ამას მხოლოდ მივესალმები. მიმაჩნია, რომ რუსეთის ხელისუფლებასთან საუბრის ნებისმიერი შესაძლებლობა გამოყენებულ უნდა იქნეს. თუ მოახერხებენ რაიმე საკითხის დადებითად გადაწყვეტას, ამასაც მივესალმები, მიუხედავად იმისა, იქნებიან თუ არა ისინი სატელიტები.

მე მხოლოდ ერთი რამე მინდა – ქვეყანაში ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი მიმდინარეობდეს და ესა თუ ის პარტია ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდეს. პოლიტიკურ პროცესში პატრიოტთა ალიანსს არ უკავია ის პოზიცია, რომელზეც გულზე მჯიღის ცემით საუბრობენ. აქციებიც სხვანაირად შეიძლება დაიგეგმოს და შიმშილობაც, როდესაც ბოლომდე აპირებ ბრძოლას.

ნებისმიერი ხელისუფლებისთვის ბოიკოტის თემა დამღუპველია. 2015 წლის შუალედურ არჩევნებზე ჩვენ ბოიკოტის თემა წამოვწიეთ. ირმა ინაშვილმა ამ დროს საგარეჯოში ჩატარებულ შუალედურ არჩევნებში მიიღო მონაწილეობა.

მას ნამდვილად გაუყალბეს ეს არჩევნები, ამის შესახებ მე ადრეც არაერთხელ მისაუბრია. პატრიოტთა ალიანსი ერთადერთი პოლიტიკური პარტია იყო, რომელმაც ამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო.

ყველამ წინასწარ ვიცოდით, რომ ხელისუფლება ამ არჩევნებს გააყალბებდა და მივიღებდით იმ შედეგს, რომელიც მივიღეთ. საინტერესოა, რატომ გაუთეთრა პატრიოტთა ალიანსმა „ქართულ ოცნებას“ ეს პროცესი.

***– პატრიოტთა ალიანსთან დაკავშირებით კიდევ ერთი კითხვა უნდა დაგისვათ: არის ასეთი ჭორი, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ ბიძინა ივანიშვილმა ირმა ინაშვილთან გაერთიანება შემოგთავაზათ, რაზეც უარი თქვით. ამ ფაქტმა ხომ არ გამოიწვია თქვენი დაპირისპირება ინაშვილთან?***

– ინაშვილთან არანაირ დაპირისპირებაში არა ვარ, მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც მეუბნებიან, კალამი ცოტა გაექცა. პიროვნულად მის მიმართ ცუდად განწყობილი არა ვარ. ძალიან კარგად მახსოვს მისი ბრძოლა. ადამიანებს დადებითს არასდროს არ ვუვიწყებ.

კიდევ ვიმეორებ, რომ პატრიოტთა ალიანსთან დაკავშირებით კითხვები მაქვს, მაგრამ ინაშვილთან პიროვნულად დაპირისპირებული არ ვარ.

რაც შეეხება იმ ჭორს, რომელზეც კითხვა დამისვით, ნამდვილად ჭორია, რადგანაც ბიძინა ივანიშვილისგან არანაირი შეთავაზება არ მიმიღია და ვერც მივიღებდი. მან როგორ უნდა მიკარნახოს, ვისთან გავერთიანდე. ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ ამის მცდელობა ნამდვილად არ ყოფილა.

ეს ჭორი შეიძლება ივანიშვილის საჯარო განცხადებიდან გამომდინარე წამოვიდა. ყოფილმა პრემიერმა ერთხელ საჯაროდ განაცხადა, რომ უნდა, ოპოზიცია გაძლიერდეს და მაგალითად ბურჯანაძისა და ინაშვილის პარტიები დაასახელა.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენს პარტიასთან მიმართებით ეს იყო მისი უკიდურესად არაგულწრფელი განცხადება. ჩვენს პარტიას და მათ შორის მე ის ყოველთვის უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებდა. ყველა საარჩევნო კამპანია ჩვენ წინააღმდეგ იყო მიმართული.

ყოველთვის ამბობდა, რომ ჩვენ გვაქვს 3 ან 4 პროცენტი და ბარიერი შეიძლება ვერ გადავლახოთ. ამით საზოგადოებას ჩვენს ვითომდა დაბალ რეიტინგს აგუებდა. მის დაქვემდებარებაში მყოფ ადმინისტრაციულ რესურსს მესიჯებს უგზავნიდა, რომ ბურჯანაძის პარტიამ საარჩევნო ბარიერი ვერ უნდა გადალახოს. ასეთი განკარგულება შარშან მან საპარლამენტო არჩევნების წინ ერთ-ერთ შეხვედრაზე გასცა.

ივანიშვილი ამბობდა, რომ ჩვენი პარტიის გაძლიერება უნდოდა, სინამდვილეში ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხელი შეეშალა. ჩვენ მისთვის არაფერი არც გვითხოვია და არც არაფრის თხოვნას არ ვაპირებთ, მაგრამ გვქონდა ლეგიტიმური მოლოდინი იმისა, რომ ის ბრძოლას არ დაგვიწყებდა. ნაცვლად იმისა, რომ ნაციონალებსა და სააკაშვილს შებრძოლებოდა, მე და ჩემს პარტიას გვებრძოდა.

***– ამის მიზეზი რა არის?***

– მიზეზი ნამდვილად არ ვიცი. ერთადერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ მისთვის მიუღებელია თავისუფალი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც მას ყველაფერზე თავს არ დაუკრავს და მისი მონა არ იქნება. მე დემოკრატიულ მოძრაობასთან დაპირისპირების სხვა მიზეზს უბრალოდ ვერ ვხედავ.

# გიორგი მარგველაშვილი ოფიციალური ვიზიტით პორტუგალიაში გაემგზავრა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ოფიციალური ვიზიტით პორტუგალიის რესპუბლიკას ეწვევა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან აცნობეს, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, რომელიც ლისაბონში, 1-3 ოქტომბერს შედგება, გიორგი მარგველაშვილი პორტუგალიის რესპუბლიკის პრეზიდენტ მარსელო რებელო დე სოუზას, პრემიერ-მინისტრ ანტონიო კოსტასა და პორტუგალიის ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტ ედუარდო ფერო როდრიგესს შეხვდება.



საქართველოს პრეზიდენტის დახვედრის ოფიციალური ცერემონია ხვალ, ლისაბონში ბელემის სასახლეში გაიმართება. პრეზიდენტები პირისპირ და გაფართოებული ფორმატის შეხვედრების შემდეგ მედიისათვის ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ.

საქართველოს პრეზიდენტის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი დავით რაქვიაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვახტანგ მახარობლიშვილი, საქართველოს ელჩი პორტუგალიის რესპუბლიკაში რევაზ ბეშიძე, პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობათა მდივანი თენგიზ ფხალაძე, საპარლამენტო მდივანი ანა დოლიძე და პრეზიდენტის პოლიტიკური მდივანი ფიქრია ჩიხრაძე.

საქართველოს პრეზიდენტი დელეგაციასთან ერთად პორტუგალიის კერძო სამეცნიერო „ფონდ შამპალიმოს“ მოინახულებს, რომელიც ნეიროლოგიის, ონკოლოგიისა და კარდიოლოგიის სფეროებში ბიოსამედიცინო კვლევების მიმართულებით მუშაობს. საქართველოს პრეზიდენტი ოფიციალური ვიზიტის კულტურული პროგრამის ფარგლებში პორტუგალიის უძველესი ხელოვნების ეროვნულ მუზეუმს და გრასას მონასტერს დაათვალიერებს, რომელშიც ქეთევან დედოფლის წამების ამსახველ პანოს გახსნის.

**ინტერპრესნიუსი**

# „საქართველოში ადამიანები კომბალს აიღებენ ხელში“

ნონა ცაბაძე

## გიორგი ახვლედიანი: „ასეთი საკუთარი თავის მტერი ხელისუფლება მეორე არ არსებობს“

„ახალი თაობის“ კითხვებს დემოკრატიული მოძრაობის წევრი გიორგი ახვლედიანი პასუხობს.

***– ბატონო გიორგი, უმრავლესობამ კონსტიტუცია მესამე მოსმენით გასულ კვირას მიიღო, თუმცა ისინი მიმართავენ პრეზიდენტს, რომ კონსტიტუციას, რომელიც სამი მოსმენით დიდი წინააღმდეგობის ფონზე მიიღეს, ვეტო დაადოს. რა პროცესის მომსწრენი ვართ?***

– სწორედ რომ ძალიან საინტერესო პოლიტიკური მოცემულობა შეგვექმნა იმის გამო, რომ ხელისუფლება, რომელიც საკონსტიტუციო უმრავლესობას ფლობს ქვეყანაში, არის იმდენად არაპროფესიონალი და დილეტანტური, რომ მას არ შეუძლია თანმიმდევრულად განსაზღვროს, კონკრეტულად რისი გაკეთება უნდა, როგორი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება უნდა და იმის გამო, რომ ამაში ვერ გარკვეულა, ასეთ არათანმიმდევრულ ნაბიჯებს დგამს, მიიღო კონსტიტუცია სამი მოსმენით და შემდეგ გაახსენდა, რომ ორი საკითხი კიდევ აქვს მისაღები. ასეთი არაადეკვატურობა არც კი მსმენია.

***– თავადაც არ იცის, რა უნდა?***

– ფაქტია, რომ ხელისუფლებამ დაამთავრა თუ არა საკონსტიტუციო ცვლილებები, გამოგვიცხადა, ახლა კიდევ ორი კონსტიტუციური ცვლილება უნდა მივიღოო, შემოდგომაზე პირველი მოსმენითო, მერე გაზაფხულზე ორი მოსმენითო. მერე მოსახლეობას უნდა გავაცნოო და მთელი ეს პროცედურები თავიდან უნდა გაიაროს, მარტო იმიტომ, რომ მეორე მოსმენის წინ არ ეყოთ არც ცოდნა, არც გამოცდილება, არც პროფესიონალიზმი, რომ მეორე მოსმენის წინ მიეღოთ ეს საკითხები.

***– ეს პროცესი ძალიან ხომ არ გაიწელება? ასე მივალთ ალბათ 2020 წლის არჩევნებამდეც.***

– 2020 წლის არჩევნებამდე ცოტა სხვანაირად მივალთ. ამ არაადეკვატურობისა და სრული დილეტანტიზმის ფონზე ალბათ მივალთ რადიკალური ფორმებით.



***– რა მოცემულობა შეიქმნა?***

– დღეს შექმნილია სრული კომიკური პოლიტიკური ვითარება, როდესაც ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ მოდით, პრეზიდენტის მეშვეობით მოვაგვაროთ ეს საკითხი, რომ აღარ გვქონდეს მთელი ეს სამი მოსმენით ჩასატარებელი კენჭისყრები. ამიტომ გადაწყვიტეს, პრეზიდენტს შესთავაზონ, რომ მან ვეტო დაადოს ამ კონსტიტუციას, ხოლო მოტივირებული შენიშვნებით შემოვიდეს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ უნდათ.

***– ეს რამდენად გამოუვათ?***

– ეს არ გამოვა. ეს არ არის ახალი თემა. ამით ხელისუფლება ცდილობდა ჯერ კიდევ ზაფხულში ოპოზიციის გადმობირებასა და ოპოზიციასთან ვაჭრობას. ერთკაციან პარტიებთან იყო ვაჭრობა, რომ ჩვენ ბლოკებს გადმოგიგდებთ და თქვენ გამოდით და თქვით, რომ მაჟორიტარული სისტემა ერთჯერადად 2020-ში მისაღებია. თუმცა ეს ვერ მოახერხეს, ვერავინ დაითანხმეს და დარჩნენ სრულიად მარტო. დღეს იმავეს ცდილობენ პრეზიდენტთან მიმართებით.

***– დათანხმდება ამას პრეზიდენტი?***

– მე ეს გამორიცხულად მიმაჩნია. პრეზიდენტმა ჩვენთან შეხვედრისას ღიად თქვა, რომ არავითარ შემთხვევაში არ აპირებს ხელისუფლების ვალების გადახდას და ეს არ მოხდება. აქ არის ერთი ძალიან საინტერესო ნიუანსი.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ დაახლოებით ორი კვირის წინ 20-მა პოლიტიკურმა პარტიამ პრეზიდენტთან ერთად შევიმუშავეთ ხუთპუნქტიანი პაკეტი, რომელიც შევთავაზეთ ხელისუფლებას კონსენსუსის მისაღწევად, რათა გაგვეკეთილშობილებინა კონსტიტუციური პაკეტი, მაგრამ ხელისუფლებამ ამას იგნორირება გაუკეთა. ამ ხუთპაკეტიან ინიციატივაში ორი არის სწორედ ის საკითხი, რომლებზეც ხელისუფლება სთხოვს პრეზიდენტს მოტივირებული შენიშვნით შემოსვლას.

***– მაშინ თავიდანვე დათანხმებოდა ამას.***

– საქმე ის არის, რომ ხელისუფლებას კატეგორიულად არ მოსწონს დანარჩენი სამი. ეს არის პაკეტი. პრეზიდენტი შევა მოტივირებული შენიშვნით ამ სრული პაკეტით. ამას ან გაითვალისწინებს და არ დაძლევს უმრავლესობა, ან უნდა დაძლიოს სრული პაკეტი.

დღეს პრეზიდენტი დადგა საკმაოდ მომგებიან სიტუაციაში და ამას სწორადაც გამოიყენებს. პრეზიდენტი დაადებს ვეტოს სწორედ იმ ხუთპუნქტიანი პაკეტით, რომელიც მომზადდა ოპოზიციასთან ერთად. პრეზიდენტი იტყვის, რომ ყველას უნდა ვეტო, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც, ამიტომ მე ვადებ ვეტოს. მარგველაშვილი იტყვის, რომ ამ პაკეტში გათვალისწინებულია როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის ინტერესი.

***– თუმცა ხელისუფლებას ამ პაკეტიდან სამი საკითხი არ აწყობს.***

– დიახ, რადგან იქ პირველ ადგილზე წერია საარჩევნო სისტემის ცვლილება და პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა. ბუნებრივია, ხელისუფლება ამას ვერ დაეთანხმება და მივიღებთ ძალიან საინტერესო ფაქტს. ხელისუფლება დაძლევს ამ ვეტოს და გამოვა, რომ ის დაძლევს იმ ინიციატივებსაც, რომლებსაც თვითონვე სთავაზობდა პრეზიდენტსა და საზოგადოებას.

***– ანუ თავად შეიყვანა ჩიხში პროცესი?***

– რა თქმა უნდა. ამ პროცესის მთელი კურიოზულობა არის ხელისუფლების სრული არაადეკვატურობა, დაწყებული იმით, რომ თავის დროზე ვერ გაიგეს, რა უნდოდათ და მესამე მოსმენით რომ უყარეს კენჭი, მერე დაიწყეს ცვლილებებზე საუბარი. მოკლედ, ასეთი თავისი თავის მტერი ხელისუფლება მეორე არ არსებობს.

***– რას მივიღებთ საბოლოო ჯამში? თქვენ ბრძანეთ, რომ ვერ მივა 2020-მდე ეს ხელისუფლება. რას გულისხმობდით, დაამხობენ?***

– საბოლოო ჯამში, პროცესები გარდაუვლად წავა რადიკალიზაციისკენ. ხელისუფლებამ შექმნა ისეთი საარჩევნო სისტემა, რომლითაც ხელისუფლება არჩევნებით ვეღარ შეიცვლება. ამის მაგალითია ბოლო ორი არჩევნები და ეს არჩევნებიც მაგის მაგალითი იქნება. იღებს 48%-იან მხარდაჭერას და პარლამენტში ჰყავს 80% დეპუტატებისა.

ეს არის სისტემა, რომელიც დაბალი მხარდაჭერის მქონე პარტიას საშუალებას აძლევს, მაჟორიტარების მეშვეობით მიიღოს საკონსტიტუციო უმრავლესობა. ზუსტად იგივე მოხდება ახლაც ადგილობრივ არჩევნებზე. საზოგადოება კარგად დაინახავს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შექმნა სისტემა, როდესაც არჩევნებით აღარ იცვლება ხელისუფლება. სწორედ ეს არის მთავარი არგუმენტი იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ადამიანები კომბალს აიღებენ ხელში.

# ნაციონალური მოძრაობა თბილისის მერიასთან აქციას გამართავს

ნაციონალური მოძრაობა დღეს, 2 ოქტომბერს, თბილისის მერიასთან აქციას გამართავს.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ზაალ უდუმაშვილის განცხადებით, ის არ შეეგუება, რომ „ბიძინა ივანიშვილს 1 ლარად გადაეცეს ნახევარი თბილისი“.

– იმ მომენტიდან, როდესაც ჩვენ გავაკეთეთ განაცხადი, რომ მონაწილეობას ვიღებდით თვითმმართველობის არჩევნებში, გადავწყვიტეთ, რომ ბოლომდე დაგვეცვა თბილისელების ინტერესები. ეს არ არის წინასაარჩევნო რიტორიკა, ეს არის ჩვენი ცხოვრების საქმე. დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმიტომ, რომ მკაფიოდ ვუთხრათ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასა და მის უკან მდგარ ბიძინა ივანიშვილს, რომ არ დავუთმობთ ბოტანიკურ ბაღს, ჩვენ არ შევეგუებით იმას, რომ 1 ლარად გადაეცეს ბიძინა ივანიშვილს ნახევარი თბილისი და არ შევარჩენთ, რომ მისი „პანორამა თბილისი“ ამახინჯებდეს თბილისის ისტორიულ ნაწილს.

ჩვენ არ ვაპირებთ ფარ-ხმალის დაყრას არჩევნებამდე. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ბუნებრივია, ყველა ის უკანონო გადაწყვეტილება გაბათილდება, რომელიც თბილისის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ჩვენი პროტესტი იქნება უფრო ხალხმრავალი, უფრო ძლიერი და უფრო ხმამაღალი. ამიტომ ჩვენ დღეს




ვაანონსებთ აქციას – ორშაბათს, 14:00 საათზე თბილისის მერიასთან ვიწვევთ ყველას, ვინც გვიჭერს მხარს და ვინც არა მხოლოდ ჩვენ გვიჭერს მხარს, არამედ თბილისს უჭერს – ჩვენს საერთო სახლს.

ჩვენ ვეუბნებით არას თბილისში გამეფებულ უკანონობას და ჩვენ ვეუბნებით არას ბიძინა ივანიშვილის თავგასულობას. ასე რომ, გელოდებით ყველას ორშაბათს, 14:00 საათზე, თბილისის მერიასთან, – განაცხადა ზაალ უდუმაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# შატილის მოსახლეობა ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციას ითხოვს

პირიქითა ხევსურეთში შატილის მოსახლეობა სოფლის ჰესის კაპიტალურ რეაბილიტაციას ითხოვს. ჰესი მოძველებულია და მწყობრიდან ხშირად გამოდის, რის გამოც შატილის მცხოვრებლები ელექტროენერგიის გარეშე რჩებიან. 2017 წლის ტურისტულ სეზონზე მოსახლეობა უშუქოდ არაერთხელ დარჩა ოთხი-ხუთი დღით, 2016 წლის ზამთარში კი ელექტროენერგია თითქმის 4 თვე არ ჰქონდათ.

შატილის მცხოვრებლების თქმით, ჰესი კომუნისტების დროს არის აშენებული.

– შუქი ისე მალ-მალე მიდის, ხან ერთი კვირა არ გვაქვს ხოლმე. თუ ზამთარში გაფუჭდა, მაშინ შეიძლება ხელოსნები საერთოდ ვერ ამოვიდნენ. გზა არ არის და უამინდობის გამო ვერტმფრენიც არ დაფრინავს. წინა ზამთარს ასე დავრჩით უშუქოდ. მერე შეაკეთეს. წელსაც რამდენჯერმე გაფუჭდა, ისევ შეაკეთეს, მაგრამ ხელოსნები ჩასულები არ არიან ხოლმე თბილისამდე, რომ ისევ ფუჭდება. კაპიტალურ რეაბილიტაციას დიდი ფული უნდაო, – უთხრა რეგინფოს შატილის მკვიდრმა მარო ჭინჭარაულმა.

ადგილობრივებმა ჰიდროელექტროსადგურის კარზე პროტესტის ნიშნად წარწერაც გააკეთეს: „შატილის უნამუსო გესი“.

შატილში მდებარე საოჯახო სასტუმროების მეპატრონეების თქმით, იმის გამო, რომ წელს ზაფხულში ჰესი მწყობრიდან რამდენჯერმე გამოვიდა და ელექტროენერგია არ იყო, ტურისტულმა სააგენტოებმა არაერთი შეკვეთა გააუქმეს.

– წყლის გათბობა გვაქვს ელექტროენერგიაზე და უკვე შემოდგომის პირას ჰესი ორჯერ გაფუჭდა. დენი რომ არ იყო, წყალსაც ვერ ვათბობდით და დასაბანად ცხელი წყალი არ გვქონდა, რის გამოც სააგენტოები შეკვეთებს აუქმებდნენ, – აღნიშნეს საოჯახო სასტუმროების მეპატრონეებმა.

შატილის ჰესზეა დამოკიდებული შატილის სკოლა-პანსიონის ელექტროენერგიით მომარაგებაც. უშუქობის დროს, ბავშვები, რომლებიც პირიქითა ხევსურეთის სხვადასხვა სოფლიდან არიან და სკოლაში სწავლის გამო მთელი კვირის განმავლობაში პანსიონში ცხოვრება უწევთ,




სანთლის შუქზე რჩებიან.

შატილის ჰესი დუშეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზეა. გამგეობაში აცხადებენ, რომ ჰესის კაპიტალური რეაბილიტაციისთვის 2017 წლის ბიუჯეტში თანხა გათვალისწინებული არ არის.

პირიქითა ხევსურეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა დათვიჯვრის უღელტეხილზე დიდთოვლობის გამო ოქტომბრის ბოლოს იკეტება და მაისის შუა რიცხვებამდე ავტომობილით გადაადგილება შეუძლებელია. უღელტეხილი ზღვის დონიდან 2676 მეტრზეა. ზამთარში ხევსურეთის სოფლებთან დაკავშირება მხოლოდ ვერტმფრენით არის შესაძლებელი. თბილისიდან ხევსურეთში თვეში ერთხელ სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი დაფრინავს, რომელსაც მესაზღვრეები გადაჰყავს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სასაზღვრო პოლიციასთან შეთანხმებით ადგილობრივებიც ახერხებენ გადაადგილებას.

სამოქალაქო ავიარეისები ხევსურეთში იშვიათად სრულდება. ზამთარში პირიქითა ხევსურეთში, შატილი-მუცოს მხარეს დაახლოებით 15 ოჯახი ცხოვრობს, სოფლების დიდი ნაწილი მოსახლეობისგან დაცლილია. რუსი მესაზღვრეები უკვე შატილიდან სამ კილომეტრში, ანატორთან, საქართველოს კუთვნილ ტერიტორიაზე დგანან.

**რეგინფო**

# ელენე ხოშტარია: „1-ლი ოქტომბერი, რომელიც იყო მშვიდობიანი არჩევნების დღე, იქცა ტყუილის დღედ“




– 1-ლი ოქტომბერი, რომელიც იყო მშვიდობიანი არჩევნების დღე, იქცა ტყუილის დღედ – გაცურების, მიტაცების დღედ – ბიძინა ივანიშვილის ეზოს გაფართოების დღედ!

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა ელენე ხოშტარიამ პუშკინის სკვერში განაცხადა, სადაც შეკრებილებმა მიწის ნაკვეთებზე ზონალური სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით თბილისის საკრებულოს 29 სექტემბრის გადაწყვეტილება გააპროტესტეს.

ხოშტარიას თქმით, 21 ოქტომბრის არჩევნებში მოსახლეობამ უნდა აირჩიოს მერი, რომელიც იქნება არა ქალაქის მფლობელი, არამედ ქალაქის მსახური.

ხოშტარიამ პუშკინის სკვერში შეკრებილ მოქალაქეებს მიმართა, რომ ისინი მივიდნენ არა მის საარჩევნო შეხვედრაზე, არამედ საკუთარი ქალაქის დასაცავად.

– არავის დავუთმობთ ამ ქალაქს. არავის მივცემთ უფლებას, ჩვენი მიწები ლარად და „კაპიკებად“ მიიტაცონ. ასე თავხედურად, ასე უტიფრად გამოწკეპილები დადიოდნენ, ადამიანებს უჭირდეთ, ადამიანები შიმშილობდნენ და მილიარდერები ლარად იტაცებდნენ მიწებს, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

მისივე თქმით, ვერცერთი ზონდერი, მოძალადე და მილიარდერი ვერ გააჩერებს პროტესტს, რადგან სიმართლე არის მათ მხარეს.

– ამ აქციას ვმართავთ პირველ ოქტომბერს. ხუთი წლის წინ ჩვენს ხელისუფლებას ხალხმა სამართლიანად უთხრა: წადით სახლში, რაღაც გააკეთეთ, შეგეშალათ, ახლა წადით სახლში! მაშინ ბევრად უფრო ძლიერი იყო წარმოდგენა, რომ ხელისუფლებას ვერავინ მოერეოდა. დიახაც, მშვიდობიანად, არჩევნების გზით ჩვენ ავბრძანდით და წავედით სახლში იმისთვის, რომ ქვეყანაში ყოფილიყო უკეთესობა. ხალხს ჰქონდა მოლოდინი. არჩევნებზე ბიძინა ივანიშვილისთვის კი არ მივიდნენ, არამედ მივიდნენ იმიტომ, რომ უკეთესის მოლოდინი ჰქონდათ. მივიდნენ იმისთვის, რომ უკეთესი ცვლილებები ყოფილიყო ქალაქში. ეს დღე, რომელიც არის მშვიდობიანი არჩევნების დღე, იქცა ტყუილის დღედ – მოტყუების, გაცურების დღედ, მიტაცების დღედ, ბიძინა ივანიშვილის ეზოს გაფართოების დღედ, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

**ინტერპრესნიუსი**

# რას ელის საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის მორიგი სამიტისგან

## „ევროკავშირი არ მოითმენს, რომ სამხრეთ კავკასიის რომელიმე ნაწილი ვინმეს გავლენის ზონა გახდეს“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველო მონაწილეობს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის მორიგ სამიტში. სამიტი ბრიუსელში 24 ნოემბერს უნდა გაიმართოს. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა დაახლოებით ორი წელიწადია, წარუმატებლად ითვლება თავად ევროკავშირში, სამიტისთვის მაინც საგანგებოდ ემზადებიან. ამ მხრივ განსაკუთრებით პოლონეთი აქტიურობს.**

უცხოური მედიის ინფორმაციით, პოლონელი დიპლომატები ხვდებიან სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლებს. მაგალითად, ვარშავაში გაიმართა მოლაპარაკებები საქართველოს მინისტრთან ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში ვიქტორ დოლიძესთან. შეხვედრებზე ითქვა, რომ პოლონეთი მხარს უჭერს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის კურსს, ვარშავა ყოველთვის მიესალმებოდა საქართველოს მისწრაფებებს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის საქმეში.

საქართველოსთვის, რომელსაც, აქამდე გადადგმული ნაბიჯებიდან გამომდინარე, წესით, ევროკავშირის წევრობის პრეტენზია უნდა ჰქონდეს, ასეთი განცხადებები ახლის მომასწავებელი არ უნდა იყოს.

წინა სამიტზე, რომელიც რიგაში 2015 წელს გაიმართა, საქართველო ელოდა თანხმობას ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციაზე. რიგის სამიტმა ვიზალიბერალიზაციის ვადები გადასწია. ამ სამიტს მოჰყვა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მიმართ სკეპტიკოსების რაოდენობის ზრდა.

ევროპელი ექსპერტები აღიარებენ, რომ პარტნიორი ქვეყნები – საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი, სომხეთი და ბელორუსია ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მათი პოლიტიკა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ამიტომ, უკეთესი იქნება, თუ ევროკავშირი მათ ინდივიდუალურად მიუდგება. ევროკავშირში ასევე დაასკვნეს, რომ




ამ პროგრამის განხორციელებას აბრკოლებს ის, რომ ზოგიერთ პარტნიორ ქვეყანას კარგი ურთიერთობა აქვს რუსეთთან, ზოგს – თურქეთთან, ზოგი კი მთავარ აქცენტს აშშ-სთან მოკავშირეობაზე აკეთებს. აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამისთვის შემაფერხებელი ხდება ასევე ევროკავშირის ერთიანობის რღვევა და აშშ-ის პრეზიდენტის მიერ აღებული კურსი ეროვნული სახელმწიფოების მხარდაჭერისკენ.

ასეთი დასკვნების პარალელურად, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა ფაქტობრივად უცვლელად გრძელდება. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიტოლდ ვაშჩიკოვსკი აცხადებს, რომ ევროკავშირის გაფართოების პროცესი უსასრულო უნდა იყოს. ევროკავშირისა და ნატოს კარი უნდა იყოს ღია, განსაკუთრებით ბალკანეთისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბარტოშ ჩიხოცკი პოლიტიკური დიალოგისა და პოლონეთ-სომხეთის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე ესაუბრა სომეხ კოლეგებს.

რამდენიმე დღის წინ იქვე განცხადებები გააკეთა ევროკავშირის ელჩმა სომხეთში პიოტრ სვიტალსკიმ.

– ევროკავშირი არ მოითმენს, რომ სამხრეთ კავკასიის რომელიმე ნაწილი გახდეს ვინმეს აბსოლუტური გავლენის ზონა, – აღნიშნა მან.

იგი გამოვიდა ევროკავშირის დაშლის წინააღმდეგ.

აღმოსავლეთ პატრნიორობის პროგრამის მომხრეები აცხადებენ, რომ წინა სამიტის მწარე გამოცდილების შემდეგ განწყობა შეცვლილია როგორც პარტნიორობის ინიციატორებში, ისე პარტნიორებში.

არ არის გამორიცხული, რომ მოლდოვამ ევროკავშირის მაღალჩინოსნებთან ან ბრიუსელის სამიტის ფარგლებში ისევ წამოსწიოს დნესტრისპირეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანის საკითხი. ეს ინიციატივა მოლდავეთმა ცოტა ხნის წინ გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე დააყენა.

ექსპერტების ნაწილი ბრიუსელის სამიტის წინ კიდევ ერთ შეფასებას იძლევა. მათი აზრით, საქართველო, უკრაინა და მოლდოვა დასავლეთისკენ მიდიან, აზერბაიჯანი, სომხეთი და ბელორუსია კი – აღმოსავლეთისკენ.

# სად მუშაობდნენ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატები

**„ქართული ოცნების“ მიერ 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე წარდგენილი მერობის კანდიდატებიდან 18 მოქმედი მერი და გამგებელია, 15 – ბიზნესმენი, 8 – საკრებულოს მოქმედი წევრი, 1 – პროკურორი, 5 კი საბანკო სექტორშია დასაქმებული.**

**პარტია „ქართულმა ოცნებამ“ მერობის კანდიდატები ქვეყნის ყველა – 64 მუნიციპალიტეტში წარადგინა, მათ შორის – 62 კაცი და 2 ქალი. კერძოდ, თიანეთში მერობის კანდიდატია ლელა ქიტესაშვილი, ნინოწმინდაში კი – ანივარდ მოსოიანი.**



**მერობის 18 კანდიდატი იმავე მუნიციპალიტეტებში მოქმედი მერი ან გამგებელია:** ნიკოლოზ ჯანიაშვილი (დედოფლისწყარო), კაპიტონ ჟორჟოლიანი (მესტია), ალექსანდრე გრიგალავა (მარტვილი), გოჩა ქაჯაია (ხობი), ლაშა გოგია (ზუგდიდი), დავით გოგუა (ჩხოროწყუ), ზაზა გულიაშვილი (ქარელი), გიორგი გურასპაშვილი (ხაშური), დავით შერაზადიშვილი (ბოლნისი), ზაზა მელიქიძე (ახალციხე), ზაქარია ენდელაძე (ადიგენი), არჩილ გოგსაძე (ბაღდათი), ნიკო თოფურიძე (ხარაგაული), ილია საბაძე (წალკა), ლელა ქიტესაშვილი (თიანეთი), ბეგლარ სიორიძე (ოზურგეთი), ირაკლი კუჭავა (ჩოხატაური) და ვალერიან ფოცხვერია (სამტრედია).

**4 მუნიციპალიტეტში მერობის კანდიდატად გამგებლის (მერის) მოქმედი მოადგილე ან სამსახურის უფროსი იქნა წარდგენილი:** გიორგი ქორიძე (თეთრიწყარო), ზვიად მხეიძე (ამბროლაური), ბენიამენ ფალავანდიშვილი (საჩხერე), ხოლო ტყიბულში თემურ ჩუბინიძე, რომელიც ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის მოადგილეა.

**8 შემთხვევაში მერობის კანდიდატები საკრებულოს მოქმედი თანამდებობის პირები ანდა რიგითი წევრები არიან:** მანუჩარ მერებაშვილი (კასპი) და კონსტანტინე თავზარაშვილი (გორი) – საკრებულოს თავმჯდომარეები; ჯუმბერ ვარდმანიძე (ხელვაჩაური) – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; ალექსანდრე სარიშვილი (ლანჩხუთი) და ანივარდ მოსოიანი (ნინოწმინდა) – კომისიის თავმჯდომარეები; გოგი გოგილაშვილი (სიღნაღი) – ფრაქციის თავმჯდომარე; შოთა ნარეკლიშვილი (თელავი) და ბესიკ ფარცვანია (წალენჯიხა) – საკრებულოს წევრები.

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი და ყოფილი მაღალჩინოსნები არიან მერობის კანდიდატები 2 მუნიციპალიტეტში:** ონში – ემზარ საბანაძე, რომელიც 2002-2003 წლებში საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე იყო, ხოლო შუახევში – ფრიდონ ფუტკარაძე, – ხელვაჩაურის შს სამმართველოს უფროსი.

ახალქალაქის მერობის კანდიდატად წარდგენილია ამჟამად ნინოწმინდა-ახალქალაქის რაიონული პროკურორი იურიკ უნანიანი.

2 კანდიდატია წარდგენილი სამხარეო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციიდან. ქუთაისში მერობისთვის იმერეთის ყოფილი გუბერნატორი გიორგი ჭილვარია იბრძოლებს, ჭიათურაში კი – გუბერნატორის პირველი მოადგილე პაატა ნადირაძე.

**მერობის 7 კანდიდატი ცენტრალური და რეგიონული სამინისტროების ყოფილი ან მოქმედი წარმომადგენელია:** კახა კალაძე (თბილისი) – ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი 2012 წლიდან; ბონდო სოფრომაძე (თერჯოლა) – თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის პოლიციის სამმართველოს უფროსი; ირაკლი ტაბაღუა (რუსთავი) – ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; ლაშა კომახიძე (ბათუმი) – აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი; მირიან ქათამაძე (ქობულეთი) – აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე; გოჩა მელაძე (ხულო) – აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შპს „Goderdzi Resorts“-ის დირექტორის მოადგილე; ზურაბ სეხნიაშვილი (დუშეთი) – სოფლის მეურნეობის სამინისტროს დუშეთის საინფორმაციო ცენტრის უფროსი.

2 მუნიციპალიტეტში მერობის კანდიდატებად საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები არიან წარდგენილი. გარდაბნის მერობის კანდიდატი რამაზ ბუდაღაშვილი 2008 წლიდან №21 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იყო, ასპინძაში წარდგენილი როსტომ მაგრაქველიძე კი №39 საოლქო საარჩევნო კომისიას 2006 წლიდან ხელმძღვანელობდა.

**მერის თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატებს შორის 15 მოქმედი ბიზნესმენია:** გიორგი ერბოწონაშვილი (საგარეჯო) – შპს „კახეთი 3000“-ის დირექტორი; როსტომ სესიაშვილი (ყვარელი) – შპს „სესიაშვილის“ დამფუძნებელი და დირექტორი; იოსებ ქარუმაშვილი (ახმეტა) – მეწარმე, საწარმო საკუთარ სახელზე რეგისტრირებული არა აქვს; გოჩა კურდღელია (ფოთი) – შპს „Caucasian Metals Terminal“-ის დირექტორი და მეწილე; ლევან კუპრეიშვილი (სენაკი) – „საქართველოს რკინიგზის“ შვილობილი კომპანიის „ჯიარ ქონების მართვის“ გენერალური დირექტორის მოადგილე; ლაშა გოგია (ზუგდიდი) – შპს „მედჰაუსის“ 100% წილის მფლობელი;

ბესიკ ფარცვანია (წალენჯიხა) – შპს „ბრიტანული ცენტრი – ზუგდიდის“ დირექტორი; ლევან მაკალათია (აბაშა) – შპს „პროგრესული მშენებლების“ დამფუძნებელი და დირექტორი; გიორგი ტატუაშვილი (დმანისი) – შპს „პრივატ სტანდარტი“-ს დამფუძნებელი და მმართველი პარტნიორი; გიორგი კაპანაძე (მცხეთა) – შპს „სტარი“-ს დირექტორი, შპს „ექსპედიტორი“-ს, შპს „კალა-უბანი“-ს და სასტუმრო „მცხეთა-პალასის“ მეწილე; არჩილ გოგსაძე (ბაღდათი) – შპს „აგუნა“-ს და შპს „თელავის მუნიციპალიტეტის ღვინის პარკის“ დირექტორი, შპს „გრანდი“-ს და შპს „არქიტექსი“-ს მეწილე; ლადო ჯურხაძე (ხონი) – სს „ტრანსმშენი“-ს და ჰოლდინგური კომპანია „კავკაზუს ოტომოუტუკ რითეილის“ ფინანსური მენეჯერი; ბონდო სოფრომაძე (თერჯოლა) – შპს „ახალი დონის“ 100 % წილის მფლობელი; კახაბერ მახათაძე (ზესტაფონი) – საქართველოს საპატრიარქოს შპს „ხაშმის ღვინის ქარხნის“ დირექტორი; ზაზა მელიქიძე (ახალციხე) – შპს „მელიზას“ და შპს ლეგის“ 100 % წილების მფლობელი.

**სახელისუფლებო პარტიის მერობის 5 კანდიდატი საბანკო სექტორში მუშაობს:** არჩილ ხანდამაშვილი (გურჯაანი) – 2010 წლიდან „ლიბერთი ბანკის“ გურჯაანის ფილიალის მმართველი; ჯონდო მდივნიშვილი (ლაგოდეხი) – 2013 წლიდან „ლიბერთი ბანკის“ კახეთის რეგიონული ფილიალის მმართველი; გრიგოლ იოსელიანი (წყალტუბო) – 2004 წლიდან „ლიბერთი ბანკის“ წყალტუბოს ფილიალის მმართველი; ლევან ლიპარტია (ბორჯომი) – 2007 წლიდან სხვადასხვა დროს იყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების „კრედოს“, „ქართული კრედიტის“ და „კრისტალის“ ბორჯომის ფილიალების მმართველი; ალექსანდრე გოგორიშვილი (ვანი) – 1992 წლიდან „ლიბერთი ბანკის“ ვანის ფილიალის მმართველი.

**2 შემთხვევაში მერის თანამდებობაზე წარდგენილია მედიცინის სფეროს წარმომადგენელი:** ლენტეხში – ბადრი ლიპარტელიანი, რომელიც 2005 წლიდან ლენტეხის სასწრაფო დახმარების ფილიალის მენეჯერია, ქედაში კი ლევან გორგილაძე – ბათუმის ინფექციური ცენტრის დირექტორი.

თელავში მერობის კანდიდატი შოთა ნარეკლიშვილი შპს „საქართველოს ფოსტაში“ კახეთის რეგიონული კოორდინატორია. ცაგერში მერად წარდგენილია „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ყოფილი იურისტი ავთანდილ უგრეხელიძე, ყაზბეგში კი ინჟინერ-არქიტექტორი ალექსანდრე ზაგაშვილი, რომელიც კერძო სექტორში საქმიანობდა.

„ქართული ოცნების“ ოფიციალურ ვებგვერდზე არ არის განთავსებული ინფორმაცია მარნეულის მერობის კანდიდატ თემურ აბაზოვის შესახებ, რომელიც, ჩვენი ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილის პრემიერმინისტრობის პერიოდში მისი პირადი დაცვის ოფიცერი იყო. **რეგინფო**

# თამარ ჩუგოშვილი: „როგორც ჩანს, უმრავლესობისა და პრეზიდენტის შეხვედრა არ შედგება“

საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერ თამარ ჩუგოშვილის ვარაუდით, ახლად მიღებულ კონსტიტუციაზე სალაპარაკოდ მმართველი გუნდისა და პრეზიდენტის შეხვედრა არ შედგება. მისი თქმით, პრეზიდენტის ადმინისტრაციას უმრავლესობის შეთავაზებაზე პასუხი ჯერ არ გაუცია.

– როგორც იცით, ჩვენგან გამოითქვა სურვილი, რომ გვქონოდა შეხვედრა და მსჯელობა, თუმცა როგორც ჩანს, ეს შეხვედრა არ შედგება. ყოველ შემთხვევაში, მე შეხვედრაზე ინფორმაცია არ მაქვს, – განაცხადა ჩუგოშვილმა.

შეგახსენებთ, კონსტიტუციის მიღების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ შესთავაზა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, ვეტო დაადოს ორ საკონსტიტუციო ცვლილებას. ერთ-ერთი მათგანი ეხება ბონუსის მექანიზმის გაუქმებას, ხოლო მეორე – 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ერთჯერადად ბლოკების შესაძლებლობის დატოვებას. მან აღნიშნა, რომ ამ საკითხზე სალაპარაკოდ მზადაა, ქვეყნის პირველ პირს შეხვდეს.

28 სექტემბერს პრეზიდენტი ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა და განაცხადა, რომ უმრავლესობის სურვილის შემთხვევაში ის შეხვდება მმართველ გუნდს.

ახალი კონსტიტუცია საქართველოს პარლამენტმა 26 სექტემბერს მიიღო.

**მედიანიუსი**



# ლექსო ალექსიშვილი: „საქართველოში ვალები უფრო მეტია, ვიდრე — ინვესტიციები“

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო ფიტჩმა საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური პერსპექტივის ამსახველი ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. საქართველოს საკრედიტო რეიტინგი უცვლელია და ის ბიბი მინუსს შეადგენს, ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა კი „სტაბილურია“.

სააგენტოს მიერ გავრცელებულ პრესრელიზში საუბარია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახალ, 3-წლიან პროგრამაზე, რომლის ფარგლებში ფონდმა, საქართველოს მთავრობის რეფორმების მხარდასაჭერად, დაახლოებით 285 მილიონი დოლარი გამოყო. სააგენტოს ექსპერტების შეფასებით, ფონდის ახალი პროგრამა დადებითად აისახება ქვეყნის მაკროეკონომიკურ პოტენციალზე, – აღნიშნულ თემაზე გადაცემაში „საქმის კურსი“ პიემსიჯი კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა ლექსო ალექსიშვილმა ისაუბრა.



– ბატონო ლექსო, ფიტჩმა რეიტინგში მთავარ სისუსტეებად საგარეო ფინანსები და საბიუჯეტო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შესაძლო ზრდა დაასახელა. როგორ ფიქრობთ, მთავრობა მუშაობს თუ არა იმ მიმართულებით, რომ აღნიშნული სისუსტეები აღმოიფხვრას?

– ფიტჩის რეიტინგი არის ინსტრუმენტი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის ფინანსურ მდგრადობას განსაზღვრავს და შესაბამისად იმასაც, თუ რამდენად მყარია ქვეყანა საშინაო თუ საგარეო შოკების მიმართ. არსებული შეფასებით, საუბარია იმაზე, რომ ეკონომიკური მდგრადობის თვალსაზრისით საქართველოში არსებული მდგომარეობა სტაბილურია და იგივე მდგომარეობაშია, რაშიც წინა შეფასების დროს იყო. გაუარესებით არ გაუარესებულა და გარკვეული გაუმჯობესების რაღაც მნიშვნელოვანი ფაქტორებიც არ არის.

არის შეფასებები კონკრეტული რისკების მიმართ გაკეთებული და აღნიშნულ რისკებს თუ გავაანალიზებთ, ბუნებრივია, ისინი არსებობს და მათ შორის, არის რისკები: საგადამხდელო ბალანსის მიმართ და უცხოური ინვესტიციების შემოდინებების მოცულობები, რომელმაც მიმდინარე ანგარიში უნდა დააბალანსოს. ასევე მნიშვნელოვანი საკითხია საერთო საგარეო ვალის მოცულობა, რომელიც სხვა ანალოგიურ ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ მაღალია და ბუნებრივია, ამის ერთადერთი საპირწონე საკითხი, რასაც მისი გამოსწორება შეუძლია, ქვეყნის მიმზიდველი საინვესტიციო გარემოა. სხვა შემთხვევაში ჩვენ ვერცერთს ვერ გამოვასწორებთ.

– აღნიშნული რეიტინგი რა სიგნალია ინვესტორებისა და საფინანსო ინსტიტუტებისთვის?

– ეს შეფასება ცალსახად პოზიტიური სიგნალია. ჩვენ მეზობელ ქვეყნებთან მიმართებით თუ განვიხილავთ, სომხეთსაც იგივე შეფასება აქვს დატოვებული და აზერბაიჯანი ნეგატიურად არის შეფასებული, რადგან აზერბაიჯანს ძველი პრობლემები მოყვება, მათ შორის, არის სავალუტო შოკებთან დაკავშირებული პრობლემები.

მთავარია, ყურადღება იმ რისკებზე გავამახვილოთ, რომლებზეც თავად საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო ამახვილებს. ეს რისკები დაკავშირებულია ისევე, როგორც საგარეო, ასევე საშინაო შოკებთან და ამ კონკრეტულ შემთხვევაში აქცენტი საგარეო თემატიკაზეა გაკეთებული. ეს არა სახელმწიფო, არამედ მთლიანი საგარეო ვალის მოცულობაა. მეორე საკითხი კი საგადამხდელო ბალანსია.

– აზიის განვითარების ბანკის პროგნოზზე რას გვეტყვით, რომელიც გაუმჯობესებულია, წელს საქართველოს ეკონომიკა 4.2%-ით გაიზრდება, ხოლო 2018 წლისთვის ზრდის ტემპები 4.5%-მდე დაჩქარდება.

– ფაქტია, რომ ჩვენ მიმდინარე წელი საკმაოდ ნორმალური გვექნება. ეს ის დაგეგმილი პროგნოზია, რომელიც ზრდის მაჩვენებლის მიხედვით იყო დაგეგმილი და ეს სავარაუდოდ 4.5%-ის დონეზეა, რაც ამ ვითარებაში ნორმალური მაჩვენებელია. სასურველია, რომ უფრო მაღალი იყოს, რადგან 4.5%-იანი ზრდა საქართველოს გრძელვადიან პერსპექტივაში ისეთი მნიშვნელოვანი ეფექტის მომტანი არ იქნება, როგორიც ჩვენ გვინდა, განსაკუთრებით სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.

4.5%-იანი ზრდა ორ მთავარ ფაქტორს მოყვა. ეს არის ჩვენს მეზობელ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის დასტაბილურება ეკონომიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებით ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში და საქართველოში სამეწარმეო გარემოს კარგი მდგომარეობა. მათ შორის არის ბანკების მდგრადობაც და არსებული ვითარება ხელს უწყობს იმას, რომ ქვეყანაში 4.5%-იანი ზრდა არსებობდეს.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ინვესტიციებია. ამ კუთხით დიდი ცვლილებებია საჭირო იმისთვის, რომ ვითარება კარდინალურად შეიცვალოს. ქვეყანაში ვალები უფრო მეტია, ვიდრე – ინვესტიციები, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ საქართველო მაინც არ ითვლება იმ სანდო ქვეყნების რიგში, რომელთა კაპიტალში შესვლა უსაფრთხო იქნებოდა. ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე თუ რატომ ურჩევნიათ უცხოელ ინვესტორებს თანხები სესხად გაილონ და არა კაპიტალში, რადგან მის მიმართ ნდობა მაღალი არ არის.

ნდობას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს: საკანონმდებლო ბაზა, ინსტიტუტები, მათ შორის, სასამართლო სისტემა და შრომის ბაზარი. რამდენად ადეკვატურია შრომის ბაზარი იმისთვის, რომ იქ ინვესტირებული თანხა ადეკვატურად მომგებიანი იყოს?! კვალიფიკაცია, განათლება, შრომის ეთიკა და ბევრი ასეთი ნიუანსია გასათვალისწინებელი, რომელიც შრომასთან არის დაკავშირებული. ჩვენ სამივე მიმართულებით გარკვეული პრობლემები გვაქვს. სასოფლო-სამეურნეო მიწის საკითხი დიდი ხანია განიხილება და იგი აუცილებლად უნდა დავძრათ. გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, რადგან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების პრივატიზაცია აღარ მოხდება და გრძელვადიანი იჯარა იქნება და გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, რადგან საკითხი შუა გზაშია გაჩერებული. მაგრამ სამწუხარო ფაქტია, რომ ამ გადაწყვეტილების მისაღებად მზად არ არიან.

კერძო მესაკუთრის მფლობელობაში არსებულ მიწაზე რაიმე სახის შეზღუდვის დაწესება აბსურდული გადაწყვეტილებაა. ამ თვალსაზრისით შეზღუდვა კარგი გადაწყვეტილება არ არის არც ერთი მიმართულებით, არც ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით, არც ინვესტიციების მოზიდვის და სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით და ა.შ. რამის ყიდვა-გაყიდვა კი ინვესტიციას არ ნიშნავს ცალსახად. ინვესტიცია კაპიტალში ფულის დაბანდებაა. გაყიდვა პირველი ნაბიჯი იქნება იმისთვის, რომ კაპიტალი შეიქმნას.

**ბიზნესმედია**

# „სოფლის მეურნეობაში საჭიროა შეღავათიანი სესხების გაცემა“

## რა პრობლემები აქვთ ქართული ხილ-ბოსტნეულის ექსპორტიორებს

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს საექსპორტო არეალი გაიზარდა და ჩვენი პროდუქცია ევროპულ ბაზარზეც გადის, აგროსასურსათო პროდუქცია ძირითადად მაინც „შეჩვეულ“ ქვეყნებში იყიდება.

ევროპაში ქართული პროდუქციიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ღვინო და თხილი გადის, რაც შეეხება ხილსა და ბოსტნეულს, ის ტრადიციულ ბაზრებზე – პოსტსაბჭოთა სივრცეში უფრო იყიდება. რა მდგომარეობაა დღეს ამ ბიზნესში და რა პრობლემები აქვთ ქართველ ექსპორტიორებს? – ამ საკითხებზე შპს „შმაგის“ ხელმძღვანელი მანანა გელაძე საუბრობს.




მანანა გელაძე მიიჩნევს, რომ მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს პროდუქციის ექსპორტი ძალიან უჭირთ.

– ჩვენი ფირმა ექსპორტს რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინასა და აზერბაიჯანში აწარმოებს. უკვე ორი თვეა, გაჩერებული ვართ. ატმის ექსპორტზე ნორმალურად ვიმუშავეთ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სურსათის ეროვნული სააგენტოც ძალიან დაგვეხმარა, მაგრამ მატერიალური მხარე მაინც ყველაფერს წყვეტს და ჩვენი საქმიანობის გაგრძელება ვეღარ შევძელით. მერე ნიორიც შემოვიდა, პომიდორიც, შინდიც, მაგრამ ექსპორტზე ვერც ერთი ვერ გავიტანეთ. დიდი იმედი გვქონდა, რომ პომიდვრის ექსპორტზე მაინც ვიმუშავებდით, მაგრამ ვერ გაგვაქვს, რადგან სახსრები არ გვყოფნის. მცირე და საშუალო ბიზნესი ამ სფეროში ძალიან პასიურია, ეს ეხება არამარტო ჩვენს ფირმას, არამედ ყველას, ვისაც ვიცნობ. მცირე ბიზნესის დიდი ნაწილი უსახსრობის გამო გაჩერებულია. საქმე მარტო პროდუქციის შესყიდვა ხომ არ არის? – ხილს და ბოსტნეულს დახარისხება და ტრანსპორტირება სჭირდება, ყველაფერს თავისი ხარჯი აქვს და ჩვენი მიზერული მოგებით ამ ხარჯებს ვერ ვწვდებით, – აღნიშნავს მანანა გელაძე.

მისი თქმით, მსხვილ ფირმებთან კონკურენციის გაწევა რთულია.

– დიდი ბიზნესი ვისაც აქვს, მისი შემოსავალიც სოლიდურია, თანაც, მათთვის შეღავათიანი კრედიტის აღება პრობლემას არ წარმოადგენს. დიდ ფირმებს მაცივრები აქვთ, სადაც ხილ-ბოსტნეულს ინახავენ და ზამთრის სეზონზე ორმაგ ფასად ყიდიან, ჩვენ კი სეზონურ მოსავალზე ვართ დამოკიდებული. კრედიტის სანაცვლოდ ბანკი ისეთ გარანტიებს მოითხოვს, რომელთაც ჩვენ ვერ შევწვდებით. ამ საქმეში 4-5 ათასი ლარი არაფერია, დასაწყისისთვის 25-30 ათასი ლარი მაინც გჭირდება, რომ პოზიციები შეინარჩუნო. ისეთი გადასახადები გვაქვს, რომ ვერ ვწვდებით. არსებობისთვის ვიბრძვით, თორემ ჩვენ ამ ბიზნესისგან მილიონები არასოდეს დაგვრჩენია, – აცხადებს მანანა გელაძე.

მისგან განსხვავებით, იმედიანად არის განწყობილი შპს „ფრუიტილიას“ დამფუძნებელი ვახტანგ ბეჟიტაშვილი.

– ჩვენი ფირმა ჩვეულებრივად მუშაობს, სერიოზული პრობლემები არ შეგვქმნია, მით უმეტეს, რომ ათასობით ტონა პროდუქცია გაგვაქვს ყოველწლიურად. საქართველოში სულ რამდენიმე კომპანიაა, რომელსაც ამხელა ბრუნვა აქვს. წელს ძალიან კარგად იმუშავა ვაშლატამამ და ატამმა, პომიდვრის ექსპორტიც ნორმალურად ჩავატარეთ და ახლა უკვე შინდის გატანა დავიწყეთ. მართალია, შარშანდელთან შედარებით მცირედი კლება გვაქვს, მაგრამ ეს კლიმატური პირობების ბრალია. ყველაზე დიდი რაოდენობით პროდუქცია რუსეთში და ყაზახეთში გაგვაქვს – ეს არის ჩვენი ძირითადი საექსპორტო ბაზარი, – აღნიშნავს ვახო ბეჟიტაშვილი.

„ფრუიტილიას“ დამფუძნებელი მიიჩნევს, რომ ექსპორტის სტიმული, მისი წახალისება ყველა ქვეყანაშია მიღებული და ეს ტენდენცია ჩვენთანაც უნდა დაინერგოს.

– ჩვენთვის სულ მცირე შეღავათიც კი ბევრს ნიშნავს. სოფლის მეურნეობის პროდუქცია რისკიანი პროდუქციაა და ამიტომაც სჭირდება შეღავათიანი სესხები. ბანკიდან სესხის გამოტანა ბიზნესს ძალიან ძვირი უჯდება, რადგან ყველა კომერციულ ბანკს მაღალი პროცენტი აქვს დაწესებული. პრობლემაა საგადასახადო სტრუქტურებთან ურთიერთობაც, მაგალითად, ჩვენი ფირმის საგადასახადო შემოწმება რამდენჯერმე გადაავადეს და საბოლოო დასკვნა ჯერ კიდევ არ მიგვიღია. ბუნებრივია, ეს გარკვეულ დისკომფორტს გვიქმნის, რადგან უკვე 6 თვეა, შემოწმების რეჟიმში ვიმყოფებით, არადა, 3 თვეზე მეტ ხანს შემოწმების უფლება არა აქვთ. საგადასახადო ორგანოებმაც ხელი უნდა შეგვიწყონ, რომ როგორმე წინ წავიდეთ და ერთ ადგილზე არ გავიყინოთ, – ამბობს ვახო ბეჟიტაშვილი.

ექსპორტიორის შეფასებით, წლევანდელი წელი მათთვის ცუდი არ იყო, მაგრამ უკეთესი შედეგის მიღწევაც შეიძლებოდა.

– იაფი კრედიტის აღების საშუალება რომ გვქონოდა, კლიმატურ პირობებსაც ხელი შეეწყო და საგადასახადო შემოწმებაც მალე დასრულებულიყო, პროდუქციის ექსპორტს გავაორმაგებდით. მიუხედავად უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორისა, უკმაყოფილონი მაინც არ ვართ, თანაც, უკვე ყურძენი შემოვიდა. რამდენიმე პარტია ექსპორტზე უკვე გავაგზავნეთ და თუ შეკვეთები გვექნება, კიდევ გავაგზავნით. ჩვენს ქვეყანაში პირველ რიგში ხელმისაწვდომი კრედიტები უნდა არსებობდეს, რაც შეიძლება მეტ თანხაზე უნდა ჰქონდეთ წვდომა ფერმერსაც და ექსპორტიორსაც და ამის შემდეგ ყველაფერი დალაგდება – ბაზარი ყველაფერს დაარეგულირებს, – აღნიშნა ვახო ბეჟიტაშვილმა ჩვენთან საუბრისას.

# რუსთავი-წითელი ხიდის გზის მშენებლობა იწყება

## სავარაუდო ღირებულება 322 მილიონი ლარია

– მომავალ წელს დაიწყება რუსთავი-წითელი ხიდის გზის მშენებლობა, რომლის სავარაუდო ღირებულება 322 მილიონი ლარი იქნება.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ქვემო ქართლის მერობის კანდიდატების წარდგენისას განაცხადა.

– ჩვენ ვახორციელებთ რუსთავი-წითელი ხიდის და რუსთავი-სადახლოს მაგისტრალური გზების მოდერნიზაციას. ჩვენი მთავარი მიზანია, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე, გაზრდილი სატრანზიტო გადაზიდვებისთვის შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა.

თბილისი-წითელი ხიდის მიმართულებაზე გრძელდება თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მშენებლობა. უკვე დასრულებულია ერთი ნაწილი, რომლის ღირებულება 95 მილიონ ლარზე მეტია. ახლა მიმდინარეობს ამავე მონაკვეთის მეორე ნაწილის მშენებლობა, რომლის ღირებულება 120 მილიონ ლარამდე გახლავთ.

მომავალი წლიდან დაიწყება რუსთავი-წითელი ხიდის გზის მშენებლობა, რომლის სავარაუდო ღირებულება 322 მილიონი ლარი იქნება. ასევე, მომავალ წელს დაიწყება რუსთავი-სადახლოს მონაკვეთის მშენებლობა. პროექტის სავარაუდო ღირებულება 285 მილიონი ლარი იქნება.



რეგიონში განხორციელდა მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პროექტი – ქვესადგური „მარნეული 500“, რომლის ღირებულებაც 20 მილიონი დოლარი გახლავთ. ეს ქვესადგური, საგრძნობლად გააუმჯობესებს თბილისისა და ქვემო ქართლის ელექტრომომარაგებასა და ენერგოუსაფრთხოებას, – განაცხადა პრემიერმა.

# გაკოტრებული რუსული ავიაკომპანია „ვიმ-ავიას“ მგზავრებს „საქართველოს ავიახაზებიც“ მოემსახურება

რუსეთის ტურიზმის ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელის ოლეგ საფონოვის განცხადებით, ავიაკომპანია „ვიმ-ავიას“ მგზავრების დაბრუნებაში „საქართველოს ავიახაზებიც“ ჩაერთვება.

ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ წერს.

ორშაბათს ავიაკომპანია „ვიმ-ავიამ“ ოფიციალურად აღიარა, რომ მუშაობის გასაგრძელებლად საჭირო ფინანსები არ გააჩნია. პრობლემები შეექმნა „ვიმ-ავიას“ ათეულობით ათას მგზავრს როგორც რუსეთში, ასევე საზღვარგარეთ. რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროსა და საჰაერო ტრანსპორტის ფედერალური სააგენტოს კონტროლის ქვეშ მგზავრების დაბრუნებაში სხვა ავიაკომპანიები ჩაერთვნენ. აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული ხარჯებისთვის, ქვეყნის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის გადაწყვეტილებით, რუსეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 98 მილიონი რუბლი გამოიყო.

„ვიმ-ავიას“ გენერალური დირექტორი ალექსანდრე კოჩნევი და მთავარი ბუღალტერი ეკატერინა პანტელეევა დაკავებულები არიან.



# კუმურდოს მცხოვრები: „თუ ჯვრის დადგმის საშუალებას არ მოგვცემენ, აქ ომი მოხდება“

სოფელ კუმურდოში ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები განახლდა. ადგილზე რჩება დაცვის პოლიცია. მიუხედავად იმისა, რომ გუშინ დილიდან სარესტავრაციო სამუშაოები განახლდა, რუსთავი 2-ის ცნობით, ადგილობრივები ამბობენ, რომ რესტავრატორები არ უფრთხილდებიან მათი წინაპრების სამარხებს. ამიტომ კვლავ მოითხოვენ, რომ ჯვრის აღმართის საშუალება მისცენ.

— თუ არ მოგვცემენ ჯვრის დადგმის საშუალებას, აქ მოხდება ომი. რესტავრატორები ჩვენი წინაპრების ნეშტებს პატივს არ სცემენ. ტომრებში ჩაყარეს ჩვენი ბაბუებისა და მამების ძვლები, — აცხადებენ ადგილობრივები.

დაპირისპირება სოფელ კუმურდოს მოსახლეობასა და პოლიციას შორის 30 სექტემბერს მას შემდეგ დაიწყო, რაც ადგილობრივებმა სოფლის ეკლესიაში შესვლა და ეზოში მდებარე საფლავზე ქვაჯვარის დადგმა ცადეს.




ტაძარში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების გამო მრევლს ამის უფლება დაცვის პოლიციამ არ მისცა. სიტუაცია იმდენად გამწვავდა, რომ ადგილზე პოლიციისა და სპეცრაზმის გამოძახება გახდა საჭირო.

სამართალდამცავებსა და ადგილობრივებს შორის დაპირისპირებისას დაშავდა დაცვის პოლიციის ოთხი თანამშრომელი. დაზიანებულია პოლიციის კუთვნილი მანქანები.

კუმურდოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით შსს-მ განცხადება გაავრცელა.

## ვინ არის ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი

— ახალქალაქის რაიონის სოფელ კუმურდოში ადგილობრივი მოსახლეობის ჯგუფმა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ტერიტორიაზე შეჭრა ცადა. მე-10 საუკუნის ტაძარს, რომლის რესტავრაციაც მიმდინარეობს, შსს-ს დაცვის პოლიცია იცავს.



დაცვის პოლიციის თანამშრომლებმა მოქალაქეებს ტაძრის ტერიტორიაზე შეღწევის საშუალება არ მისცეს, რის შემდეგაც ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი მათ ფიზიკურად დაუპირისპირდა, ადგილზე მისულ პოლიციას კი ქვები დაუშინეს.

შემთხვევის შედეგად დაშავდნენ პოლიციელები, ასევე დაზიანდა შსს-ს ბალანსზე აღრიცხული რამდენიმე ავტომანქანა.

შექმნილი ვითარებიდან უმოკლეს დროში ადგილზე ჩავიდა შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი. იგი ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. ამ დროისთვის სიტუაცია სოფელ კუმურდოში განმუხტულია.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სსკ-ს 353-ე პრიმა მუხლით, სსკ-ს 187-ე მუხლის 1 ნაწილით, სსკ-ს 239-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს, — ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

* * *

კუმურდოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ქართულ სოციალურ მედიაში გამოხმაურებები მოჰყვა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკა ანთიძე კუმურდოს სტრატეგიულ პროექტს განმარტავს.

— ზოგი სპეციალისტი ცდილობს, საზოგადოება დაარწმუნოს იმაში, რომ კუმურდოს პროექტი არასწორია. მე ვეცდები, რამდენიმე პუნქტით განვმარტო კუმურდოს ესოდენ სტრატეგიული პროექტი.

1. კუმურდოს რესტავრაცია თაობების ოცნება იყო და მავანნი ვერ ეგუებიან, რომ დღეს მიმდინარეობს ეს პროექტი.

2. 2015 და 2016 წლები ძირითადად არქეოლოგიას დაეთმო. ამოვიდა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური არტეფაქტები, რის საფუძველზეც დაკორექტირდა პროექტი.

3. 2016 წელს არქეოლოგიის პარალელურად, დიდი სიფრთხილით დაიწყო რესტავრაციის პროცესი.

4. არსად არ გვეჩქარება, რაც ნიშნავს, რომ თითოეული ნაბიჯი აწონილი იქნება.

5. კუმურდოში, შინაგან საქმეთა მინისტრის გარდა, მეც პირადად ვიმყოფებოდი. ეს იმათ გასაგონად, ვინც ამბობს, კულტურის მინისტრის მაგივრად შინაგან საქმეთა მინისტრი ჩავიდაო.

6. ინციდენტი არა რესტავრაციას, არამედ ტაძრის ეზოში ქვაჯვარის დადგმას ეხებოდა. ეს იმათ გასაგონად, ვინც ცდილობს, რესტავრაციის პროცესს ხელი შეეშალოს, — წერს ნიკა ანთიძე.

კუმურდოში განვითარებულ მოვლენებს დეკანოზი ილია ჭიღლაძეც გამოეხმაურა.

— იცნობდეთ საქართველოს მტერსა და ჯავახეთის მითვისების ერთ-ერთ იდეოლოგს, თბილისში მოკალათებულ კაიაფას მემკვიდრეს: საქართველოში სომხური ეკლესიის ეპარქიის მმართველი, ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი...

მას ეკისრება პასუხისმგებლობა 30 სექტემბრის ინციდენტზე, როგორც მათ სულიერ წინამძღოლსა და წამქეზებელს. მე წინა თვეებში ვწერდი, რომ საქართველოს სომხური ეპარქიის ოფიციალურ საიტზე კუმურდოს კათედრალი სომხურ ტაძრადაა წარმოდგენილი. ასე რომ, იმ უსწავლელ ხალხს სოფელ კუმურდოში ეს შავრაზმელი ფარისეველი აქეზებს...

აქვე წარმოგიდგენთ მათი ეპარქიის საიტზე დადებულ დეზინფორმაციულ სტატიას კუმურდოზე. სქრინები ძველი არ გეგონოთ, დღევანდელია... ასევე წარმოგიდგენთ სტატიას ქალაქ ახალციხის შესახებ. დასკვნები თქვენთვის მომინდვია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეპარქიის საიტის ამ ანტიქართულ სტატიებზე წინა თვეებში დავწერე ღიად, სიტუაცია არ შეცვლილა. როგორც ჩანს, ის ქართული უწყებები, რომლებსაც უნდა მიეღოთ შესაბამისი ღონისძიებები, უმოქმედონი არიან, — წერს დეკანოზი.



## ბათუმში მშენებლობაზე 5 ადამიანი დაშავდა

ბათუმში ერთ-ერთ მშენებლობაზე 5 ადამიანი დაშავდა. ხუთივე მათგანს პირველადი დათვალიერებით მსუბუქი დაჟეჟილობები აღენიშნება. ისინი საავადმყოფოში არიან მოთავსებული.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, მომხდარი მშენებარე კორპუსის ჩამონგრევამ გამოიწვია.

## ორბელიანის მოედანზე ორმოში ავტომობილი ჩავარდა

თბილისში, ორბელიანის მოედანზე, სატვირთო ავტომობილი საგზაო სამუშაოებისთვის გათხრილ ორმოში ჩავარდა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

## უჩა ნანუაშვილი ციანიდის საქმეზე დასკვნას მალე გამოაქვეყნებს

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი უახლოეს დღეებში ციანიდის საქმესთან დაკავშირებით შემაჯამებელ დასკვნას გამოაქვეყნებს. სახალხო დამცველის თქმით, დასკვნაში დაფიქსირებული იქნება ყველა ის დარღვევა, რომლებიც დაშვებული იყო ამ საქმესთან დაკავშირებით როგორც გამოძიებისას, ასევე სასამართლო პროცესების მსვლელობის დროს.

— ჩვენ ამჟამად უკვე ვასრულებთ და უახლოეს დღეებში გამოვაქვეყნებთ შესაბამის დასკვნას, რომელშიც იქნება შეჯამებული ყველა ის დარღვევა, რომელიც ჩვენ მიერ დაფიქსირდა ამ პროცესის მსვლელობის დროს როგორც საგამოძიებო, ასევე სასამართლოს პროცესების მიმდინარეობის დროს, — განაცხადა უჩა ნანუაშვილმა „კურიერთან“ ინტერვიუში.

## ზუგდიდში დათო შენგელიას ქვის საამქრო დააყაჩაღეს და 8.000 ლარი წაიღეს

ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალაბასთუმანში ქვის საამქრო დააყაჩაღეს.

აღნიშნული საამქრო ყოფილი „ტყის ძმების“ მეთაურ დათო შენგელიას კუთვნილებაა.

წაღებულია 8.000 ლარამდე.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით დაიწყო, რაც ყაჩაღობას გულისხმობს. სამინისტროში განმარტავენ, რომ მომხდართან დაკავშირებით ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

179-ე მუხლი (ყაჩაღობა) გულისხმობს თავდასხმას სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე.

ეკონომიკა

## უცხოურ კომპანია „არიკს“ 30-წლიანი იჯარით კახეთში მიწები გადაეცა



კომპანია „არიკს“ სახელმწიფომ 30-წლიანი იჯარით კახეთში მიწის ნაკვეთები გადასცა. კომპანიის მფლობელობაში იჯარით გადავიდა: სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ მაღაროში მდებარე 472.985 კვ. მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ მაღაროში მდებარე 1.020.818 კვ. მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ყანდაურის მიწებში არსებული 235.600 კვ. მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ყანდაურის მიწებში არსებული 552.701 კვ. მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

წლიური საიჯარო ქირა 18.900 ლარს შეადგენს.

კომპანია ვალდებულია, საგარეჯოსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში არანაკლებ 200 ჰა ფართობზე მრავალწლიანი ნარგავების გააშენოს; ასევე, „არიკმა“ ადგილზე არანაკლებ 100.000 ლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

„არიკ ჯგუფი“ უცხოური კაპიტალით შექმნილ საინვესტიციო კომპანიაა, რომელიც სოფლის მეურნეობის, კვების ინდუსტრიის და ტურიზმის მიმართულებით ახორციელებს პროექტებს. საპარტნიორო ფონდსა და „არიკ ჯგუფს“ შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი მიმდინარე წელს გაფორმდა.

„არიკ ჯგუფი“ საგარეჯოს რაიონში „ვინიჩიო ველის“ — „მწვანე“ ტურისტულ ცენტრს აშენებს.

**ბიზნესმედია**

## თბილისში ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრი გაიხსნა




თბილისში ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრი — „ჰუალინგ თბილისის ზღვის პლაზა“ გაიხსნა.

ცერემონიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მიიღო მონაწილეობა.

სავაჭრო ცენტრი, რომლის მშენებლობაში 150 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია განხორციელდა, 400-მდე მაღაზიას მოიცავს. მთავრობის მეთაურმა პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის მადლობა გადაუხადა „ჰუალინგ ჯგუფს“, ასევე — ჯგუფის დამფუძნებელ მი ენჰუას.

პრემიერის შეფასებით, განსაკუთრებით მისასალმებელია, რომ ბოლო წლების განმავლობაში პირდაპირი ინვესტიციები ჩინეთიდან საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

— ჩინეთი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ უმსხვილეს ინვესტორ ქვეყანას წარმოადგენს. ჩვენ გვინდა და მზად ვართ, ავითვისოთ ჩინეთთან ორმხრივი ურთიერთობების სრული პოტენციალი. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, განსაკუთრებით მივესალმებით იმას, რომ უკანასკნელ თვეებში ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა, რაც, ვფიქრობთ, ნამდვილად ისტორიული ხელშეკრულებაა, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა და აღნიშნა, რომ საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, რომელმაც ჩინეთთან ასეთი ხელშეკრულება გააფორმა.

ღონისძიებას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია, თბილისის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ძი იენჩი და „ჰუალინგ ჯგუფის“ პირველი მდივანი და გენერალური დირექტორი გუო სიან იანგი დაესწრნენ.

# ტრამპი: „ანტირუსულმა სანქციებმა რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიანი ომი შეუძლებელი გახადა“

## რექს ტილერსონი სანქციებს კურირებას გაუწევს



პრეზიდენტმა ტრამპმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის ძალითაც სახელმწიფო მინისტრ რექს ტილერსონს რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების კურირება დაევალა. ტილერსონის მოვალეობაა, თვალ-ყური ადევნოს სანქციების შესრულებას. მას ენიჭება უფლებამოსილება შეამოწმოს, თუ როგორ ხორციელდება სანქციები იმ ფინანსური ორგანიზაციებისა თუ კერძო პირების მიმართ, რომლებსაც ან დონბასის ომის გაჩაღება, ან აშშ-ის კიბერ-უსაფრთხოების ხელყოფა ედებათ ბრალად.

ჟურნალისტებმა ტრამპს ჰკითხეს, თუ რას მოასწავებს ის, რომ ანტირუსული სანქციების კურირება უშუალოდ ტილერსონს დაევალა, ამით ხომ რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობების გაუმჯობესების იდეა სამარდება, მაშინ როცა ტრამპი წინასაარჩევნო კამპანიისას ამომრჩეველს სწორედ რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებასა და სანქციების საერთოდ გაუქმებას შეჰპირდა. ტრამპმა მიუგო, რომ რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება სურს, მაგრამ არა ნებისმიერ ფასად; არსებობს ფუნდამენტური ღირებულებები, რომლებსაც აშშ ვერ გადაუხვევს.

– ამერიკა ვერ შეეგუება იმას, რომ უკრაინა, რომელმაც თავისუფლებისთვის დიდი მსხვერპლი გაიღო, რუსეთის პირისპირ მარტო დარჩეს, – თქვა ტრამპმა.

ამას გარდა, პრეზიდენტმა შენიშნა, რომ რუსეთი მინსკის შეთანხმებებს უხეშად არღვევს და ჯიუტად ცდილობს, უკრაინაზე კონტროლი აღადგინოს, თუნდაც ძალისმიერი მეთოდებით. შესაბამისად, იკვეთება ფართომასშტაბიანი ომის საფრთხე.

– სანქციებმა რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიანი ომი შეუძლებელი გახადა, – ამბობს ტრამპი.

ამავე დროს, კონგრესმენთა უმრავლესობა მოითხოვს, რომ ძალაში შევიდეს რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციები. სენატორმა მაკეინმა ტრამპს ოფიციალური წერილით მიმართა, სადაც განაცხადა, რომ კონგრესმა რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების შემოღებას მხარი დაუჭირა და დადგა დრო, ეს სანქციები აამოქმედონ.

– დონბასში პროგრესი არ შეინიშნება. რუსები სამშვიდობო შეთანხმებებს ჯიუტად არღვევენ. ამერიკაც ვალდებულია, რუსეთის მიმართ დამატებითი სანქციები აამოქმედოს, – წერს მაკეინი.

„დოიჩე ველეს“ ექსპერტი სერგეი რუდენკო ამბობს, რომ რუსეთი, ჩრდილოეთ კორეისგან განსხვავებით, ჩაკეტილი ქვეყანა არ არის. რუსული ეკონომიკა დასავლურთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული. სანქციებმაც რუსეთს საგრძნობი ზარალი მიაყენა, ბევრად უფრო სერიოზული, ვიდრე რუსეთის დასავლელ პარტნიორებს.

– დასავლეთში მხოლოდ ის ფირმები დაზარალდნენ, რომლებსაც რუსეთში ბიზნესი ჰქონდათ, რუსეთში კი მთელ ეკონომიკას უდიდესი ზარალი მიადგა, – ამბობს რუდენკო.

ექსპერტის აზრით, სანქციებმა ხელი შეუშალა მოვლენების უფრო ტრაგიკულ განვითარებას. ამავე დროს, ექსპერტი ამბობს, რომ ამ ეტაპზე რუსეთისგან უფრო სერიოზული დათმობები მოსალოდნელი არ არის.

– არჩევნები კარს არის მომდგარი. პუტინიც ამ ეტაპზე მნიშვნელოვან დათმობებზე არ წავა! მაქსიმუმი, რისი მიღწევაც ახლა შეიძლება, ისაა, რომ დონბასში ამჟამინდელი სტატუს-კვო შენარჩუნდეს და მნიშვნელოვანი გამწვავება არ მოხდეს, – ამბობს რუდენკო.

ამავე დროს, პოლიტოლოგი თვლის, რომ არჩევნების შემდეგ რუსეთი იძულებული გახდება, დონბასთან დაკავშირებით რეალური დიალოგი დიდი ხნით არ გადადოს. ომით ის უკრაინასთან ვერაფერს გახდა, რუსეთის ეკონომიკაში კი რეცესია დაიწყო.

– ავღანეთის ომის შედეგად სსრკ-ის ეკონომიკაშიც რეცესია დაიწყო. რით დასრულდა ყოველივე, ცნობილია. ახლა რუსეთი ანალოგიური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, – თქვა რუდენკომ.

# აშშ-ის ჯანდაცვის მინისტრი გადადგა



მას შემდეგ, რაც კომერციული რეისების ნაცვლად კერძო თვითმფრინავის გამოყენებისთვის კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა, აშშ-ის ჯანმრთელობისა და ადამიანური სერვისების მინისტრი თომას პრაისი თანამდებობიდან გადადგა.

პრაისის აღნიშნული ქმედების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტმა დაახლოებით 400 ათასი დოლარი იზარალა. საუბარია, სულ მცირე, 26 შემთხვევაზე.

მინისტრის მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს შემოწმებები მოჰყვა. პრაისმა სკანდალის მიჩქმალვა ცადა და დახარჯული თანხის ნაწილი ხაზინაში დააბრუნა, მაგრამ ეს არასაკმარისი აღმოჩნდა.

აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის თქმით, ის საკუთარი გუნდის წევრისა და „შესანიშნავი ადამიანის“ წასვლით „უკმაყოფილოა“.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## კალეიდოსკოპი

### ულვაშა ძიძა-ზვიგენი მეთევზეს თავს დაესხა

ამერიკის ფლორიდის შტატის სანაპიროსთან მეთევზეს თავს დაესხა ულვაშა ძიძა-ზვიგენი. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე იქნა განთავსებული.



ამერიკელი ერვინ მაკარტი ხომალდზე ისვენებდა, სანამ მისი ახლობლები ზღვაში ყვინთავდნენ და ომარებს იჭერდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა წყლის თოფით ქორჭილა მოკლა და მაკარტიმ გადაწყვიტა, მეგობარს თევზის ამოყვანაში მიხმარებოდა.

როდესაც ის წყალში ჩახტა, იმ წამსვე თავს დაესხა პატარა ზვიგენი. მაკარტი ამტკიცებს, რომ ის მტაცებელ თევზს ორივე ხელით იჭერდა, რათა მისთვის მუცელი არ გამოეფატრა.

მამაკაცმა დიდი გაჭირვებით მიცურა ხომალდთან და ზედ ავიდა, თუმცა მუცელში ჩაფრენილ ზვიგენს პირი არც წყლიდან ამოყვანის შემდეგ გაუშვია. მაკარტის ერთ-ერთმა ახლობელმა დანა მოიმარჯვა, რათა ის ზვიგენის კბილებისგან გაეთავისუფლებინა, რაც საბოლოოდ გამოუვიდა კიდეც.

ულვაშა ძიძა-ზვიგენები ატლანტის ოკეანესა და წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში ბინადრობენ. ისინი სიგრძეში 2,5-3 მეტრამდე იზრდებიან. ჩვეულებრივ ეს მტაცებელი ადამიანთან შეხვედრას გაურბის და მათ ძალიან იშვიათად ესხმის თავს.

### მშიერმა სპილომ ტუკ-ტუკი გადააბრუნა



შრი-ლანკაში გარეულმა სპილომ ტუკ-ტუკი (მოტორიკშა) გადააბრუნა, რომელშიც ირლანდიელი ტურისტი იჯდა.

ტუკ-ტუკი არუგამ-ბეის ყურიდან აილას ეროვნული პარკისკენ მიმავალ გზაზე მოძრაობდა, ქალაქ კოლომბოდან 270 კილომეტრში, როდესაც მას გზა გარეულმა სპილომ გადაუღობა. მძღოლმა ტურისტს ურჩია, მანქანიდან გადასულიყო და ცხოველი საკვებით გაეტყუებინა.

ირლანდიელმა სწორად ვერ გაიგო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. იმის მაგივრად, რომ საკვები მოშორებით გადაეგდო, ის სპილოსთან მივიდა და საკვებს ხელიდან აძლევდა. როდესაც ცხოველმა მთლიანად შეჭამა საკვები, ტურისტი ხორთუმით გვერდით გასწია და დამატებითი საკვებისთვის ტუკ-ტუკს მიადგა.

– სპილომ ტუკ-ტუკი გადააბრუნა და საკვების ძებნაში ყველა ჩანთა ამოატრიალა. ირლანდიელი ირბალს უნდა უმადლოდეს, ცოცხალი რომ გადარჩა, – განაცხადა მომხდარის კომენტირებისას იუთუბიზე განთავსებული ვიდეორგოლის ავტორმა.

### ბრიტანელს მუცლიდან სათამაშო კონუსი ამოუღეს

ექიმებმა ბრიტანეთის ქალაქ პრესტონის 47 წლის მცხოვრებს მუცლიდან სათამაშო საგზაო კონუსი ამოუღეს, რომელიც იქ 40 წლის წინ მოხვდა.




მამაკაცმა მიმართა საავადმყოფოს, რომელიც რესპირატორულ დაავადებებს მკურნალობს. მან დაიჩივლა, რომ ყვითელი ნახველი ამოსდის და საერთოდ ბოლო ერთი წელია, თავს ცუდად გრძნობს. რენტგენმა ფილტვებში დაჩრდილვა აჩვენა. ექიმებმა მიიჩნიეს, რომ საქმე ავთვისებიან სიმსივნესთან ჰქონდათ.

ბრონქოსკოპიამ თავდაპირველი დიაგნოზი უარყო. რენტგენის სურათზე აღბეჭდილი დაჩრდილვა დაახლოებით ერთი სანტიმეტრი სიგრძის სათამაშო საგზაო კონუსით იყო გამოწვეული. მამაკაცის მტკიცებით, სათამაშო მან შვიდი წლის ასაკში დაბადების დღეზე საჩუქრად მიიღო, თუმცა მალევე დაეკარგა. ახლა კი ნათელი გახდა, თუ სად წავიდა იგი.

სათამაშო სპეციალური მაშების დახმარებით ამოიღეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

- ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტეს, პროსტატიტისა და გარეთა სასქესო ორგანოების ანთებით დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს. გვაქვს სქესობრივი კონტაქტების დასამყარებლად „ერექტორები“. კონსულტაცია უფასო. ტელ.: 214-07-72; 299-95-33; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.
- სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და განწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის განწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული რჩევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.
- გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.
- ეკოლოგიურადსუფთაპროდუქციაოზონატორიარის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.
- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# „ზუგდიდის“ ფეხბურთელი, შოთა მამინაშვილი, მატჩის დაწყების წინ გარდაიცვალა

გუშინ ეროვნული ლიგა 2-ის XXIX ტურში „ვიტ ჯორჯიას“ „ზუგდიდისთვის“ უნდა ემასპინძლა. „მცხეთა პარკზე“ მატჩის დაწყებამდე სტუმართა გუნდის მეკარე, შოთა მამინაშვილი, ცუდად გახდა და გონება დაკარგა.



როგორც გუნდის დირექტორმა, რევაზ პერტაიამ პირველ არხს განუცხადა, ფეხბურთელი ცუდად თამაშის დაწყების წინ გახდა და ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ველარ მოხერხდა.

– შოთა მოთელვაზე კარგად იყო, მაგრამ მოედანზე გასვლამდე მოულოდნელად ცუდად გახდა და უცებ წაიქცა. მცხეთის საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში გადავიყვანეთ, მაგრამ ველარ ვუშველეთ. საშინელი ამბავია. არ ვიცი, რა ვთქვა. ძალიან კარგი სპორტსმენი და ადამიანი იყო, – ამბობს რევაზ პერტაია.

31 წლის შოთა მამინაშვილი ბათუმის „დინამოში“ გაზრდილი იყო, „ზუგდიდში“ კი 2017 წლიდან თამაშობდა.

# ტორპედომ დინამოსთან სხვაობა შეამცირა

## რამაზ შენგელიას სტადიონი ტრაგედიას გადაურჩა

**კოლხეთი-დინამო (თბ) 1:1**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

1:0 ბროვკო (81), 1:1 ქავთარაძე (83)

37-ე წუთზე მიქელთაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, ნონდი, კერძევაძე (ბროვკო 42), კაკულია, დერემჩინსკი, ჯანელიძე (შალიკაშვილი 75), ჟიშკარიანი, მაჩარია, ბოლქვაძე, ვ.კილასონია, ბუხაიძე

**დინამო:** რევიშვილი, თოთაძე, კობოური, სალუქვაძე, გეგეჭკორი, ქარდავა, ზარია, შულაია (კვარაცხელია 61), კიტეიშვილი, დავითაშვილი (ქავთარაძე 72), მიქელთაძე

დინამომ ისევ ვერ მოიგო – ზედიზედ 4 ტურია, დედაქალაქელებს გამარჯვების გემო არ უგემიათ და საჩემპიონო ბრძოლა საკმაოდ დაძაბეს.

კახი კაჭარავამ თბილისელთა შემადგენლობაში ცვლილება შეიტანა: შეტევის მარცხენა ფრთაზე 16 წლის ზურაბ დავითაშვილი გაამწესა, რომელსაც დებიუტი ჰქონდა პირველი გუნდში.

მატჩი დაბალ ტემპში დაიწყო. რეალური საგოლე მომენტი დინამომ მატჩის 27-ე წუთზე შექმნა. ოთარ კიტეიშვილის საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს აკაკი შულაია თავით უცვლიდა მიმართულებას, მასპინძელთა კარი ხარიხამ იხსნა. დამატებაზე ისევ შულაიამ იაქტიურა, თუმცა არაზუსტად დაარტყა.

37-ე წუთზე ბექა მიქელთაძემ თერთმეტმეტრიანი დარტყმა ვერ გამოიყენა. დავითაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი კოკა სეფიაშვილმა მოიგერია. ტაიმის ბოლოსკენ სეფიაშვილმა კიდევ ერთხელ ითამაშა კარგად, როდესაც მიქელთაძის ძლიერად დარტყმული მოიგერია.

მეორე ტაიმიც სტუმართა აქტიურობით განახლდა. მიქელთაძე და კიტეიშვილი ამწვავებდნენ თამაშს, მაგრამ პირველ შემთხვევაში დარტყმამ არ ივარგა, მეორედ კი მეკარემ ითამაშა ზუსტად.

81-ე წუთზე მასპინძლებმა გახსნეს ანგარიში. იგორ ბროვკომ ნუკრი რევიშვილს აუღებელი დაურტყა. 2 წუთში დინამომ თანაფარდობა აღადგინა. კვარაცხელია შეიჭრა საჯარიმოში და ზუსტი გადაცემით ბექა ქავთარაძე იპოვა, რომელმაც დინამოს ფორმით სადებიუტო გოლი გაიტანა. ბოლო წუთებმა დინამოელთა შეტევებში ჩაიარა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა – 1:1.

**ტორპედო-საბურთალო 2:0**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

1:0 კუტალია (11), 2:0 კუხიანიძე (72პ)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ხურცილავა, კაპანაძე (ტუღუში 88), კუხიანიძე, ფალავანდიშვილი, გ.გურული, კუტალია, დოლიძე (კორობკა 77), ქიმაძე, კუჭუხიძე (ბერიაშვილი 82)

**საბურთალო:** კუპატაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, ნადარაია, მამუჩაშვილი (კოხრეიძე 70), შინდაგორიძე, ხარაიშვილი, ცნობილაძე, თარხნიშვილი, ვოლკოვი (ბიძინაშვილი 77), მუეცი (ლაკვეხელიანი 55)

**გაძევება:** ნადარაია (52)

ქუთაისის ტორპედომ ისარგებლა თბილისის დინამოს წაფორხილებით და სხვაობა 4 ქულამდე დაიყვანა. რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე მასპინძლებმა არცთუ მძიმე ბრძოლაში დაამარცხეს საბურთალო – 2:0.

პირველი ტაიმი ტორპედოსი იყო და ანგარიშიც მალევე გახსნა. ქუთაისელთა შეტევისას ლაზარე კუპატაძემ კი ითამაშა კარგად და ლაშა კუჭუხიძის დარტყმის შემდეგ თავისიანები გადაარჩინა, მაგრამ შეტევა გაგრძელდა, გრიგოლ დოლიძის ჩაწოდების შემდეგ მცველებს ამჯერად ლევან კუტალია გაეპარათ და მანაც თავით გახსნა ანგარიში.



კუპატაძემ საბურთალოელები პირველ ტაიმში კიდევ ორჯერ გადაარჩინა – ჯერ დოლიძის კუთხურის შემდეგ, რომელიც პირდაპირ კარში ცდილობდა ჩახვევას და საბურთალოელთა მეკარის კარგი თამაში რომ არა, ანგარიში გაორმაგდებოდა, ხოლო შემდეგ ისევ სტანდარტულს მოჰყვა ხიფათი – მცველებმა ბურთი ცუდად ამოიტანეს და ვაჟა ტაბატაძემ ძლიერად გაისროლა, მაგრამ კუპატაძეს ვერ აჯობა.

ტაიმის მიწურულს ტორპედოელთა მცველებიც შეცდნენ, მაგრამ გაგი მარგველაშვილმა ვერ ისარგებლა ამით.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე საბურთალო ცუდ დღეში ჩავარდა: ცოტნე ნადარაიამ ბურთი საჯარიმოს წინ დაკარგა, თორნიკე კაპანაძე მეკარესთან პირისპირ რჩებოდა, მაგრამ საბურთალოელმა მცველმა წააქცია, მსაჯისგან წითელი ბარათი მიიღო და დედაქალაქელები მოედანზე კაცნაკლულნი დარჩნენ.

იქვე ტორპედოს მართებდა გატანა. ერთ შეტევაში ჯერ კაპანაძეს აუღო კუპატაძემ, კუტალიას დამატებული კი მცველმა გამოიტანა ცარიელი კარიდან. მალევე ქიმაძის ძლიერი დარტყმა ოდნავ ასცდა კარს, მაგრამ გოლი მაინც გავიდა.

კუჭუხიძის პასის შემდეგ კაპანაძე კარგ პოზიაციაში აღმოჩნდა, მაგრამ საჯარიმოში წააქციეს და პენალტი გოლად კუხიანიძემ აქცია – 2:0.

დარჩენილ დროში ტორპედოს თავი აღარ მოუკლავს და საქმე მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე.

მატჩის ერთი უსიამოვნო ფაქტიც მოხდა, რომელიც, საბედნიეროდ, მშვიდობიანად დასრულდა. გუგა ფალავანდიშვილის ძლიერი გასროლა თავის თავზე მიიღო ვლადიმერ მამუჩაშვილმა, რომელმაც გონი დაკარგა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მამუჩაშვილი მალევე მოვიდა გონს და ტრაგედიას საფეხბურთო მოედანზე ავცდით.

**შუქურა-სამტრედია 2:2**

**ბათუმი. რაგბი არენა**

0:1 რაჟამაშვილი (26), 1:1 მარსელინიო (60), 2:1 შალამბერიძე (87), 2:2 საბანაძე (90)

მე-19 წუთზე საბანაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

65-ე წუთზე სანდოხაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (ხარიხა)

**შუქურა:** სომხიშვილი, დ.ჩაგელიშვილი (გოგილაშვილი 90), ჯეფინიო (პომოზანი 68), კლიმიაშვილი, მარსელინიო, ა.გურული, ტიან ლინი (შალამბერიძე 58), კახელიშვილი, დასე, გოგიტიძე, ჩაჩუა

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მთივლიშვილი, კასრაძე, სანდოხაძე, მანჯგალაძე, რაჟამაშვილი, მარკოზაშვილი (სამუშია 57), საბანაძე, გოგიაშვილი, დათუნაიშვილი, გიი (ოლაიტანი 67)

**გაძევება:** კახელიშვილი (64)

სამტრედიამ რომ 3 ქულა ვერ აიღო, თავის თავს უნდა დააბრალოს. არადა, სულ თავისუფლად შეიძლებოდა, შინ უქულოდაც გაბრუნებულიყვნენ. იმერლებმა 2 პენალტი ვერ გამოიყენეს და ორივე იმ დროს, როდესაც თავად შეეძლოთ დაწინაურება.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# გია გეგუჩაძემ ახალგაზრდული ნაკრების გაფართოებული სია გამოაცხადა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 6 და 10 ოქტომბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს გამართავს დანიისა და ფარერების ნაკრებებთან. გია გეგუჩაძის გუნდი ორივე მატჩს სტუმრად ჩაატარებს.

შეგახსენებთ, რომ ჩვენმა ნაკრებმა სექტემბერში დაიწყო ახალი ციკლი და პირველი მატჩი შინ 0:3 წააგო პოლონელებთან.

გეგუჩაძემ უკვე შეარჩია 24 ფეხბურთელი, რომლებიც მომდევნო ორი მატჩისთვის მოემზადებიან.

უნდა ითქვას, რომ ამჯერად ახალგაზრდული ნაკრები მოლონიერებული შემადგენლობით არის. ეროვნული გუნდიდან ასაკის გამო ახალგაზრდულს დაუბრუნდნენ ჯემალ ტაბიძე და გიორგი არაბიძე, კვლავ ვხედავთ ახალგაზრდულ ნაკრებში ლეგიონერ რომან ჭანტურიას.

გაფართოებული სია სადღეისოდ ასეთია:

**მეკარეები:** ლაზარე კუპატაძე, ოთო გოშაძე (ორივე საბურთალო), ბექა ქურდაძე (ლოკომოტივი);

**მცველები:** აკაკი შულაია (დინამო თბ), გაგი მარგველაშვილი, ცოტნე ნადარაია (ორივე საბურთალო), ანრი ჭიჭინაძე (ტორპედო), გურამ გიორბელიძე (სიონი), რომან ჩაჩუა (შუქურა), ჯემალ ტაბიძე (უფა, რუსეთი), გიორგი ქანთარია (გროდნო, ბელარუსი);

**ნახევარმცველები:** ვლადიმერ მამუჩაშვილი, გიორგი ხარაიშვილი (ორივე საბურთალო), დავით სამურკასოვი (ლოკომოტივი), გიორგი ზარია (დინამო თბ), ლადო მოხევიშვილი (ალკოიანო, ესპანეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), გიორგი არაბიძე (შახტარი, უკრაინა), ლუკა ზარანდია (არკა, პოლონეთი), გიორგი ბერიძე (ტრენჩინი, სლოვაკეთი);

**თავდამსხმელები:** ბექა მიქელთაძე (დინამო თბ), ვატო არველაძე (ლოკომოტივი), გიორგი კოხრეიძე (საბურთალო), რომან ჭანტურია (პრატო, იტალია).

# შედეგები

## 30 სექტემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

- ჰადერსფილდი-ტოტენჰემი ............ 0:4
- ბორნმუთი-ლესტერი ............ 0:0
- მანჩესტერი-კრ.პალასი ............ 4:0
- სტოკი-საუთჰემპტონი ............ 2:1
- ვესტ ბრომვიჩი-უოტფორდი ............ 2:2
- ვესტ ჰემი-სუონსი ............ 1:0
- ჩელსი-სიტი ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 7 | 6 | 1 | 0 | 22-2 | 19 |
| 2.მანჩესტერი | 7 | 6 | 1 | 0 | 21-2 | 19 |
| 3.ტოტენჰემი | 7 | 4 | 2 | 1 | 14-5 | 14 |
| 4.ჩელსი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-6 | 13 |
| 5.უოტფორდი | 7 | 3 | 3 | 1 | 11-12 | 12 |
| 6.ლივერპული | 6 | 3 | 2 | 1 | 12-11 | 11 |
| 7.არსენალი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-8 | 10 |
| 8.ბარნლი | 6 | 2 | 3 | 1 | 6-5 | 9 |
| 9.ნიუკასლი | 6 | 3 | 0 | 3 | 6-5 | 9 |
| 10.ვესტ ბრომვიჩი | 7 | 2 | 3 | 2 | 6-8 | 9 |
| 11.ჰადერსფილდი | 7 | 2 | 3 | 2 | 5-7 | 9 |
| 12.საუთჰემპტონი | 7 | 2 | 2 | 3 | 5-7 | 8 |
| 13.სტოკი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-11 | 8 |
| 14.ბრაიტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-7 | 7 |
| 15.ვესტ ჰემი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-13 | 7 |
| 16.ევერტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-11 | 7 |
| 17.ლესტერი | 7 | 1 | 2 | 4 | 9-12 | 5 |
| 18.სუონსი | 7 | 1 | 2 | 4 | 3-8 | 5 |
| 19.ბორნმუთი | 7 | 1 | 1 | 5 | 4-11 | 4 |
| 20.კრ.პალასი | 7 | 0 | 0 | 7 | 0-17 | 0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

- ასტონ ვილა-ბოლტონი ............ 1:0
- ბარტონი-ვულვზი ............ 0:4
- იფსვიჩი-ბრისტოლი ............ 1:3
- კარდიფი-დერბი ............ 0:0
- მიდლსბრო-ბრენტფორდი ............ 2:2
- მილუოლი-ბარნსლი ............ 1:3
- ნოტინგემი-შეფილდი ............ 2:1
- პრესტონი-სანდერლენდი ............ 2:2
- ჰალი-ბირმინგემი ............ 6:1
- რედინგი-ნორვიჩი ............ 1:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

- დეპორტივო-ხეტაფე ............ 2:1
- სევილია-მალაგა ............ 2:0
- ლევანტე-ალავესი ............ 0:2
- ლეგანესი-ატლეტიკო ............ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 6 | 6 | 0 | 0 | 20-2 | 18 |
| 2.სევილია | 7 | 5 | 1 | 1 | 9-3 | 16 |
| 3.ატლეტიკო | 7 | 4 | 3 | 0 | 12-4 | 15 |
| 4.ვალენსია | 6 | 3 | 3 | 0 | 12-5 | 12 |
| 5.ბეტისი | 6 | 4 | 0 | 2 | 10-7 | 12 |
| 6.რეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-6 | 11 |
| 7.ლეგანესი | 7 | 3 | 2 | 2 | 5-3 | 11 |
| 8.სოსიედადი | 6 | 3 | 0 | 3 | 13-13 | 9 |
| 9.ლევანტე | 7 | 2 | 3 | 2 | 8-10 | 9 |
| 10.სელტა | 7 | 2 | 2 | 3 | 13-11 | 8 |
| 11.ხეტაფე | 7 | 2 | 2 | 3 | 9-7 | 8 |
| 12.ბილბაო | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| 13.ესპანიოლი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-9 | 8 |
| 14.ვილიარეალი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 7 |
| 15.დეპორტივო | 7 | 2 | 1 | 4 | 9-16 | 7 |
| 16.ხირონა | 7 | 1 | 3 | 3 | 6-11 | 6 |
| 17.ლას პალმასი | 6 | 2 | 0 | 4 | 5-10 | 6 |
| 18.ეიბარი | 6 | 2 | 0 | 4 | 3-14 | 6 |
| 19.ალავესი | 7 | 1 | 0 | 6 | 3-10 | 3 |
| 20.მალაგა | 7 | 0 | 1 | 6 | 4-16 | 1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

- ვალიადოლიდი-კორდობა ............ 4:1
- ნუმანსია-ალბასეტე ............ 5:1
- ლორკა-კადისი ............ 3:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

- აინტრახტი-შტუტგარტი ............ 2:1
- აუგსბურგი-დორტმუნდი ............ 1:2
- ვოლფსბურგი-მაინცი ............ 1:1
- გლადბახი-ჰანოვერი ............ 2:1
- ჰამბურგი-ვერდერი ............ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 7 | 6 | 1 | 0 | 21-2 | 19 |
| 2.ჰოფენჰაიმი | 6 | 4 | 2 | 0 | 11-5 | 14 |
| 3.ბაიერნი | 6 | 4 | 1 | 1 | 14-5 | 13 |
| 4.ჰანოვერი | 7 | 3 | 3 | 1 | 7-4 | 12 |
| 5.აუგსბურგი | 7 | 3 | 2 | 2 | 9-6 | 11 |
| 6.გლადბახი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-12 | 11 |
| 7.ლაიპციგი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-7 | 10 |
| 8.აინტრახტი | 7 | 3 | 1 | 3 | 6-6 | 10 |
| 9.შალკე | 7 | 3 | 1 | 3 | 8-9 | 10 |
| 10.ლევერკუზენი | 7 | 2 | 2 | 3 | 13-11 | 8 |
| 11.ჰერტა | 6 | 2 | 2 | 2 | 6-6 | 8 |
| 12.ვოლფსბურგი | 7 | 1 | 4 | 2 | 6-9 | 7 |
| 13.მაინცი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |
| 14.შტუტგარტი | 7 | 2 | 1 | 4 | 4-9 | 7 |
| 15.ჰამბურგი | 7 | 2 | 1 | 4 | 4-11 | 7 |
| 16.ვერდერი | 7 | 0 | 4 | 3 | 3-7 | 4 |
| 17.ფრაიბურგი | 6 | 0 | 4 | 2 | 2-9 | 4 |
| 18.კიოლნი | 6 | 0 | 1 | 5 | 1-13 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

- ნიურნბერგი-არმინია ............ 1:2
- კილი-ბოხუმი ............ 3:0
- აუე-უნიონი ............ 1:2

**იტალია. სერია ა**

- უდინეზე-სამპდორია ............ 4:0
- ჯენოა-ბოლონია ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 6 | 6 | 0 | 0 | 22-5 | 18 |
| 2.იუვენტუსი | 6 | 6 | 0 | 0 | 18-3 | 18 |
| 3.ინტერი | 6 | 5 | 1 | 0 | 12-2 | 16 |
| 4.ლაციო | 6 | 4 | 1 | 1 | 13-8 | 13 |
| 5.რომა | 5 | 4 | 0 | 1 | 12-4 | 12 |
| 6.მილანი | 6 | 4 | 0 | 2 | 10-8 | 12 |
| 7.ტორინო | 6 | 3 | 2 | 1 | 10-9 | 11 |
| 8.სამპდორია | 6 | 3 | 2 | 1 | 8-8 | 11 |
| 9.ბოლონია | 7 | 3 | 2 | 2 | 6-7 | 11 |
| 10.ატალანტა | 6 | 2 | 2 | 2 | 10-8 | 8 |
| 11.კიევო | 6 | 2 | 2 | 2 | 7-8 | 8 |
| 12.ფიორენტინა | 6 | 2 | 1 | 3 | 9-8 | 7 |
| 13.კალიარი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-8 | 6 |
| 14.უდინეზე | 7 | 2 | 0 | 5 | 12-13 | 6 |
| 15.სპალი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-11 | 4 |
| 16.სასუოლო | 6 | 1 | 1 | 4 | 3-9 | 4 |
| 17.კროტონე | 6 | 1 | 1 | 4 | 3-11 | 4 |
| 18.ვერონა | 6 | 0 | 2 | 4 | 1-14 | 2 |
| 19.ჯენოა | 7 | 0 | 2 | 5 | 5-11 | 2 |
| 20.ბენევენტო | 6 | 0 | 0 | 6 | 1-16 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

- აველინო-ემპოლი ............ 3:2
- ასკოლი-პალერმო ............ 0:0
- ბრეშა-პერუჯა ............ 2:1
- კარპი-პესკარა ............ 0:1
- პრო ვერჩელი-ჩეზენა ............ 5:2
- სპეცია-ბარი ............ 1:0
- ტერნანა-ვენეცია ............ 2:3
- ჩიტადელა-ვირტუსი ............ 0:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

- პსჟ-ბორდო ............ 6:2
- ამიენი-ლილი ............ 0:1
- დიჟონი-სტრასბური ............ 1:1
- გენგამი-ტულუზა ............ 1:1
- ნანტი-მეცი ............ 1:0
- რენი-კაენი ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 8 | 7 | 1 | 0 | 27-5 | 22 |
| 2.მონაკო | 8 | 6 | 1 | 1 | 22-9 | 19 |
| 3.ნანტი | 8 | 5 | 1 | 2 | 6-5 | 16 |
| 4.კაენი | 8 | 5 | 0 | 3 | 7-4 | 15 |
| 5.ბორდო | 8 | 4 | 3 | 1 | 15-13 | 15 |
| 6.სტ.ეტიენი | 7 | 4 | 2 | 1 | 9-6 | 14 |
| 7.მარსელი | 7 | 4 | 1 | 2 | 11-10 | 13 |
| 8.ლიონი | 7 | 3 | 3 | 1 | 14-10 | 12 |
| 9.ნიცა | 7 | 3 | 1 | 3 | 10-8 | 10 |
| 10.გენგამი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-12 | 10 |
| 11.მონპელიე | 8 | 2 | 3 | 3 | 5-6 | 9 |
| 12.ანჟე | 7 | 1 | 5 | 1 | 9-8 | 8 |
| 13.ტრუა | 7 | 2 | 2 | 3 | 5-6 | 8 |
| 14.ტულუზა | 8 | 2 | 2 | 4 | 9-15 | 8 |
| 15.რენი | 8 | 1 | 3 | 4 | 11-13 | 6 |
| 16.ამიენი | 7 | 2 | 0 | 5 | 4-10 | 6 |
| 17.დიჟონი | 8 | 1 | 3 | 4 | 10-17 | 6 |
| 18.ლილი | 7 | 1 | 2 | 4 | 4-11 | 5 |
| 19.სტრასბური | 8 | 1 | 2 | 5 | 6-14 | 5 |
| 20.მეცი | 8 | 1 | 0 | 7 | 3-14 | 3 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

- რეიმსი-კლერმონი ............ 1:0

**ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი**

- ბრედა-დენ ჰააგი ............ 0:1
- ზვოლე-გრონინგენი ............ 3:2
- პსვ-ტილბურგი ............ 4:0
- ექსელსიორი-ვენლო ............ 0:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

- ფერეირა-მორეირენშე ............ 3:2
- პორტიმონენშე-ავიში ............ 2:2
- ბოავიშტა-ფეირენშე ............ 1:0
- რიუ ავე-სეტუბალი ............ 2:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

- სკა ენერგია-როსტოვი ............ 2:1
- ტოსნო-ახმატი ............ 1:0
- რუბინი-ამკარი ............ 0:1
- სპარტაკი-ურალი ............ 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

- გრასჰოპერსი-ბაზელი ............ 0:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

- აბერდინი-სტ.ჯონსონი ............ 3:0
- კილმარნოკი-როსი ............ 0:2
- მოზერველი-პარტიკი ............ 3:0
- სელტიკი-ჰიბერნიანი ............ 2:2
- დანდი-ჰართსი ............ 2:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

- სტ.პოლენი-შტურმი ............ 0:3
- ადმირა-ლინცერი ............ 4:2
- მატერსბურგი-რაპიდი ............ 0:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

- ეუპენი-გენკი ............ 3:3
- ბევერენი-ანტვერპენი ............ 3:0
- მუსკრონი-მეხელენი ............ 2:2
- კორტრაიკი-ოსტენდე ............ 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

- პლატანიასი-პანეთოლიკოსი ............ 0:3
- პანათინაიკოსი-იანინა ............ 2:0
- ლარისა-პაოკი ............ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

- ოსმანლი-ქაშიმფაშა ............ 3:0
- სივასი-ანთალია ............ 3:1
- ქაისერი-ბურსა ............ 3:1
- გალათასარაი-ქარაბუქი ............ 3:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

- სლოვაკო-კარვინა ............ 0:0
- დუკლა-სპარტა ............ 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

- ლეხია-ზაგლებიე ............ 1:0
- პოგონი-კორონა ............ 0:0
- ვისლა-იაგელონია ............ 0:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

- ოლიმპიკი-მარიუპოლი ............ 3:2
- ოლექსანდრია-ზვეზდა ............ 0:0

**დანია. სუპერლიგა**

- ჰობრო-ოდენსე ............ 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

- ესკილსტუნა-სედრა ............ 1:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

- სტაბეკი-ვალერენგა ............ 4:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

- ილვესი-ლახტი ............ 2:1
- როვანიემი-ჯჯკ ............ 2:0
- ჰიკი-კემი ............ 4:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

სპორტი

# ტორპედომ დინამოსთან სხვაობა შეამცირა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ნიკოლოზ საბანაძემ 0:0-ზე გააცუდა 11 მეტრიდან – მას გიორგი სომხიშვილმა აჯობა, მაგრამ სამტრედიამ მაინც გაიტანა: საბანაძის პასის შემდეგ რაჟამაშვილმა დაარტყა, ბურთი გზად კლიმიაშვილს მოხვდა, ტრაექტორია შეიცვალა და სომხიშვილის ზურგს უკან ჩაეშვა.

მეორე ტაიმში შუქურამ ანგარიშის გათანაბრება მოახერხა ალექსანდრე გურულის ჩაწოდების შემდეგ მარსელინიომ მშვენიერი გოლი გაიტანა.

5 წუთში კიდევ ერთი პენალტი შუქურას კარში, რასაც თან გიორგი კახელიშვილის გაძევება დაერთო. ამჯერად დარტყმა სანდოხაძემ ითავა და ბურთი ხარიხას გაარტყა.

87-ე წუთზე კაცნაკლული შუქურას კონტრშეტევა და კობა შალამბერიძემ აჭარლები წინ გაიყვანა. გიორგი შაშიაშვილის გუნდს ელიტაში დარჩენისთვის მშვენიერი შანსი გაუჩნდა, მაგრამ მატჩის ბოლომდე ანგარიშის შენარჩუნება ვერ მოახერხა – მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში საბანაძემ მოახერხა ანგარიში გათანაბრება და სამტრედიამ ლიდერთან სხვაობა იგივე კი დატოვა, მაგრამ მდევარი მიიახლოვა.

**ლოკომოტივი-დინამო (ბთ)**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

1:0 სიხარულიძე (1), 2:0 კობახიძე (10), 3:0 დიასამიძე (37)

**ლოკომოტივი:** რ.თევდორაძე, სიხარულიძე (ზარანდია 46), ნ.ქავთარაძე, დიასამიძე, გვალია, ღონღაძე, გოროზია (ქურდაძე 69), კობახიძე, რეხვიაშვილი, უბილავა, სამურკასოვი (ჭანტურია 62)

**დინამო:** ტიმოფეევი, ფარტენაძე, გ.ქავთარაძე (ვ.თევდორაძე 67), შონია, ჩოგაძე (კვანტალიანი 56), ე.გრიგალაშვილი, ტვილდიანი, მგელაძე, არზიანი, კვასოვი (ფლამარიონი 75), მარცვალაძე

მარტივად მოიგო ლოკომოტივმა და სატურნირო ცხრილში მედლებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. რკინიგზელებმა 10 წუთში მოუმთავრეს საქმეს ზღვისპირელებს.

მატჩის დაწყებიდან წამზომის ისარს ერთი წრეც არ ჰქონდა გაკეთებული, როდესაც ირაკლი სიხარულიძემ საჯარიმოს გარდან უძლიერესი დარტყმით შესანიშნავი გოლი გაიტანა და ანგარიში გახსნა.

მე-10 წუთზე კი ზღვისპირელთა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა – კუთხურის შემდეგ მცველები შეცდნენ და მამუკა კობახიძემ მარტივად შეაგდო.

გიორგი დევდარიანის გუნდი ჩინებულად თამაშობდა, მატჩს აკონტროლებდა, მათი შეტევები მწვავე იყო და კიდევ ერთი გოლი 37-ე წუთზე გავიდა, როდესაც ქავთარაძე-სიხარულიძე-დიასამიძის მშვენიერი კომბინაციის დროს ბათუმელები სტატისტის როლში დარჩნენ.

მეორე ტაიმში დინამო უფრო ფლობდა ბურთს და რამდენიმე სახიფათო შეტევაც ჰქონდათ, მაგრამ გოლად გარდასახვა არ ეწერა. თავის მხრივ, ლოკომოტიველთა კონტრშეტევები უფრო მწვავე იყო და გოლის გატანა კიდევ მართებდათ.

საბოლოოდ ლოკომ 3:0 იმარჯვა და სამტრედიასთან სხვაობა 4 ქულამდე დაიყვანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 28 | 18 | 5 | 5 | 66-24 | 59 |
| 2.ტორპედო | 28 | 16 | 7 | 5 | 42-21 | 55 |
| 3.სამტრედია | 28 | 15 | 7 | 6 | 44-30 | 52 |
| 4.ლოკომოტივი | 28 | 15 | 3 | 10 | 53-35 | 48 |
| 5.საბურთალო | 28 | 13 | 4 | 11 | 44-33 | 43 |
| 6.ჩიხურა | 27 | 12 | 4 | 11 | 34-43 | 40 |
| 7.დილა | 27 | 8 | 7 | 12 | 33-40 | 31 |
| 8.დინამო (ბთ) | 28 | 9 | 2 | 17 | 24-45 | 29 |
| 9.კოლხეთი | 28 | 4 | 8 | 16 | 24-51 | 20 |
| 10.შუქურა | 28 | 2 | 7 | 19 | 27-69 | 13 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ასტროპროგნოზი

## 2 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – გეგმები თამამად შეიმუშავეთ. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. **კურო** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ფინანსებს გაუფრთხილდით. ერიდეთ შორს გამგზავრებას. **ტყუპები** – ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად იღბლიანი დღეა. ვარსკვლავები გწყალობენ. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, მაგრამ არ მოდუნდეთ. ისწავლეთ და იშრომეთ შეუპოვრად. **ლომი** – ახალშეძენილი თანამოაზრეები მიზნის მიღწევაში გეხმარებიან. მთავარია დისციპლინა და ორგანიზებულობა. **ქალწული** – ჩანაფიქრს ნურავის გაუმხელთ, თორემ საქმე ჩაგეშლებათ. ახალგაცნობილი ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. ნებისმიერ სიტუაციაში წინდახედულობა გმართებთ. **ღრიანკალი** – რეალობას ნუ მოსწყდებით და ილუზიებს ნუ აჰყვებით. პროფესიული კუთხით მცირე პრობლემები იჩენს თავს. **მშვილდოსანი** – სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. საკუთარი პრინციპები დაიცავით. შეცდომის დაშვებისგან თავი მაქსიმალურად დაიზღვიეთ. **თხის რქა** – ახალგაცნობილი ადამიანები გარკვეულ უსიამოვნებას შეგიქმნიან. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **მერწყული** – პასიური დღეა. საღამოს სასიამოვნო სიახლეებისათვის მოემზადეთ. **თევზები** – სურვილი გისრულდებათ. იაქტიურეთ. საღამოს დაისვენეთ მყუდრო გარემოში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

კალეიდოსკოპი

## ილონ მასკის დედა კოსმეტიკური ბრენდის სახე გახდა



69 წლის მოდელი მეი მასკი კოსმეტიკური ბრენდის CoverGirl-ს სახე გახდა. ამ ინფორმაციას ტელეარხი სი-ენ-ენ-ი ავრცელებს.

– მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ახლა მე ოფიციალურად ვარ CoverGirl. და ეს 69 წლის ასაკში! – დაწერა ტვიტერში მასკმა, – სილამაზე ყველა ასაკისთვისაა.

მოდელის შვილმა, მეწარმე ილონ მასკმა, დედას ეს მოვლენა ასევე ტვიტერში მიულოცა.

მეი მასკი 1948 წელს დაიბადა. 21 წლის ასაკში „მის სამხრეთ აფრიკის“ კონკურსის ფინალისტი გახდა. შემდგომში მეიმ ორი უმაღლესი განათლება მიიღო და 45 წლის განმავლობაში დიეტოლოგად მუშაობდა. რამდენიმე წლის წინ რეკლამებისა და ჟურნალებისთვის გამართულ გადაღებებში დაიწყო მონაწილეობის მიღება.

## პომპეის ნანგრევებს თანამედროვე ქანდაკებებად აქცევენ



თანამედროვე მხატვრებსა და მოქანდაკეებს შესთავაზეს, შექმნან ნამუშევრები პომპეის ნანგრევებში ნაპოვნი ფრაგმენტებისგან.

პროექტის ინიციატივა კომპლექსის დირექტორ მასიმო ოსანეს ეკუთვნის. მას ამგვარი ხერხით სურს აჩვენოს, რომ ძველი რომის დაღუპული ქალაქის ნანგრევებშიც მოიძებნება ადგილი თანამედროვეობისთვის. აქტუალური მხატვრების მიერ შექმნილ ობიექტებს ნეაპოლში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გამოფენაზე გააგზავნიან, რომელიც 18 ნოემბერს გაიხსნება.

ნამუშევრების მასალებად გამოყენებული იქნება პომპეის ამფორებისა და მარმარილოს ქანდაკებების ნამსხვრევები, რომლებიც 1943 წელს მოკავშირეების მიერ დაბომბვის დროს დაიმსხვრა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

ჩვენს საყვარელ
ლალი
დავითურს
ვულოცავთ დაბადების დღეს.
იყავი დღეგრძელი და
ჯანმრთელი.
მედნიერება და წინსვლა არ
მოგაკლდეს.
სიყვარულით „ახალი თაობა“



ჩვენს საყვარელ
ინგა
ღვალიშვილს
ვულოცავთ
დაბადების დღეს.
გისურვებთ
ჯანმრთელობას,
ულევ სიხარულსა
და სიყვარულს.
სიყვარულით
„ახალი თაობა“

საერთაშორისო

# ბარსელონაში რეზინის ტყვიები ისროლეს



გუშინ კატალონიაში რეფერენდუმი დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩასაშლელად პოლიცია რეზინის ტყვიებსა და ხელკეტებს იყენებდა. გავრცელებული ინფორმაციით, დაშავდა 300-ზე მეტი ადამიანი.

რეზინის ტყვიები და სხვა სპეცსაშუალებები ესპანელმა ძალოვნებმა ბარსელონის ერთ-ერთ სკოლასთან გამოიყენეს, სადაც საარჩევნო უბანი იყო განლაგებული. პოლიციას დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩაშლა აქვს დავალებული, რომელსაც ოფიციალური მადრიდი არალეგიტიმურად ცნობს. ამ მიზნით, სამართალდამცველებმა შენობაში შესვლა და საარჩევნო ინვენტარის გამოტანა სცადეს, რის საშუალებაც მათ მოქალაქეებმა არ მისცეს.

ოფიციალური მადრიდი ირწმუნება, რომ არეულობა კატალონიელების მიერ იყო პროვოცირებული, რადგან მათ პოლიციელებს ქვები და მძიმე საგნები დაუშინეს, რის შედეგადაც 11 ოფიცერი დაშავდა. საწინააღმდეგოს ამტკიცებენ თვითმხილველები და კატალონიის ლიდერები. მათი განცხადებით, პოლიცია შეტევაზე გადავიდა, დაპირისპირების შედეგად კი 300-ზე მეტი ადამიანი დაშავდა.

რეფერენდუმი გვიან ღამით დასრულდა, როდესაც გაზეთი „ახალი თაობა“ უკვე სტამბაში იყო.

# სკანვორდი



1. ქიმიური ელემენტი; 2. ფრანგი კომპოზიტორი (1842-1912); 3. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე; 4. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი; 5. ... ფოქსი; 6. საყანწე მასალა; 7. ბატონი (ინგლისურად); 8. ლოდსატყორცნი მანქანა (ძვ.); 9. საფუტკრე; 10. იგივეა, რაც ცთომილი; 11. თევზის წვნიანი კერძი; 12. საგნის კონტური; 13. „... შეჭამა ვენახი“; 14. ... გიბსონი; 15. ხელშეკრულებით დადგენილი ფულადი გასამრჯელო; 16. გადაბმული ნოტები (მუს.); 17. ქალბატონი (ინგლისურად); 18. ჭრილობა; 19. შლამის თევზი; 20. მდინარე აღმ. საქართველოში; 21. ... ალიევი; 22. ამაღლებული ადგილი ორატორისთვის; 23. „... დაიდარდო!“; 24. ფრანგი კომპოზიტორი (1683-1764); 25. ... ბრანდო; 26. ... შვარცენეგერი; 27. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 28. სურათი ზღვის ხედით; 29. „ქილილა და ...“; 30. ქალბატონი (ფრანგულად); 31. რინიტი; 32. საგრილობელი; 33. მდინარე იტალიაში; 34. უარყოფის გამომხატველი ნაწილაკი; 35. მამალი ცხენი; 36. საათის ჩვენება.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ვეძისი; 2. კამიუ; 3. სტიაჟა; 4. ბოტეგა; 6. ალბიონი; 9. ხუნდი; 11. ბენიასა; 15. რეზიდენტი; 16. ჟიგოლო; 17. ნატამალი; 19. არაქისი; 21. რეგენტი; 22. დელიბი.

**თარაზულად:** 5. ჰელვეცია; 7. ლეგრანი; 8. ატლასი; 10. ბულბული; 12. გესლი; 13. სქემა; 14. ანდერსენი; 18. არიბა; 20. დინარი; 23. ბერდია; 24. გემა; 25. წალამი; 26. ბატე; 24. ეტიკეტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რენუარი; 2. მეუნარგია; 3. ხერთვისი; 4. პაუპერი; 5. ლოკალი; 9. ემისია; 11. კანკანი; 12. ყაბახი; 14. ვაუჩერი; 18. აზოვი; 19. მარკა.

**თარაზულად:** 4. პობედა; 5. ლოველასი; 6. რენცი; 7. გურზუფი; 8. ენისეი; 10. ეთიკა; 13. რაველი; 15. რაპირა; 16. საკე; 17. დილა; 20. ჩაჩავა; 21. ყინული; 22. დავლური; 23. კუმისი.

# თათია ახალაია პარიზის მოდის კვირეულზე გამოვიდა



მილანის მოდის კვირეულის დასრულების შემდეგ ქართველი მოდელი თათია ახალაია პარიზის მოდის კვირეულშიც აქტიურად არის ჩართული.

თათია ახალაია საერთაშორისო სამოდელო კონკურს ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯია 2015-ის გამარჯვებული და „აისი მოდელ მენეჯმენტის“ წარმატებული მოდელია.

ქართველმა მოდელმა თათია ახალაიამ პარიზის მოდის კვირეულზე ენდრიუ ჯი-ენ-ის გაზაფხული-ზაფხული 2018 ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა. მოდელმა კოლექციიდან 3 სხვადასხვა კოსტიუმი წარადგინა.

თათიამ პარიზის მოდის კვირეულის ფარგლებში პასკალ მილეტის გაზაფხული-ზაფხული 2018 კოლექციის ჩვენებაშიც მიიღო მონაწილეობა.

ქართველმა მოდელმა ნიუ იორკისა და მილანის მოდის კვირეულებზე წარადგინა ცნობილი დიზაინერების რობერტო კავალის, ემილიო პუჩის, სტელა ჯინის, ნარცისო როდრიგესის, ქეით სპედის, ჯონათან სონდერსისა და გრეი ჯეისონ ვუს კოსტიუმები.

# „საბამ“ გამარჯვებულები დაასახელა



ლიტერატურულმა პრემია „საბამ“ 2017 წლის გამარჯვებულები დაასახელა და საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვა.

სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები ასე გადანაწილდნენ:

საუკეთესო რომანი ალეკო შუღლაძე „გადამალვა“.

საუკეთესო პროზაული კრებული – რუსუდან რუხაძე „ერთი თქვენგანი გამცემს“.

საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა – ნანა ტრაპაიძე „ლიტერატურა და ლიტერატურა“.

საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა – ლევან ბერძენიშვილი „წიგნიერების ევოლუცია“.

საუკეთესო დებიუტი – ბექა ახალაიას „ამ ვალმოხდილი ფოთლებისთვის“ და ზურა აბაშიძე „როგორ მოვკლათ ბილი ელიოტი“.

საუკეთესო ელექტრონული წიგნი – ანდრო ბუაჩიძის „გაზაფხული მოდის ღამეში“ და ლუკა ბაქანიძე „სად ხარ, ლაზარე...“.

საუკეთესო ქართული თარგმანი – ხათუნა ცხადაძე უმბერტო ეკოს „ფუკოს ქანქარის“ თარგმანისთვის.

უცხოური თარგმანი – სიბილა შულცეს ანა კორძაია-სამადაშვილის „ვინ მოკლა ჩაიკას“ გერმანულ ენაზე თარგმანისათვის.

საუკეთესო პიესა – ლაშა თაბუკაშვილი „სადღაც, ცისარტყელას მიღმა...“

საუკეთესო პოეტური კრებული – ვახტანგ ჯავახაძეს კრებულისთვის „ელეგია და სხვა.“

ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის კი წელს პრემია „საბა“ პოეტმა ლია სტურუამ მიიღო.

# ანა ურუშაძემ საერთაშორისო კინოფესტივალზე 50.000 დოლარი მოიგო



ახალგაზრდა ქართველმა რეჟისორმა ანა ურუშაძემ და მისმა ფილმმა „საშიში დედა“ ეგვიპტეში ელ გუნას საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი პრიზი – ოქროს ვარსკვლავი და ფულადი პრემია 50.000 დოლარი მოიგო.

ინფორმაცია ანას წარმატების შესახებ მსახიობმა ნიკა თავაძემ გაავრცელა:

– ანა ურუშაძის ფილმს „საშიში დედა“ ელ გუნა ფილმ ფესტივალზე მთავარი პრიზი, ოქროს ვარსკვლავი მიენიჭა! გილოცავთ!

„საშიში დედა“ რეჟისორის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია. მისი მსოფლიო პრემიერა ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა, სადაც ორი პრიზი მოიგო – ოქროს ლეოპარდი და დამოუკიდებელი ჟიურის პრიზი კინოფესტივალის საუკეთესო ფილმისათვის.

ანა ურუშაძის ფილმში მთავარ როლებს ნატა მურვანიძე და დიმიტრი ტატიშვილი ასრულებენ. მასში აღწერილია თანამედროვე ცხოვრების ფონზე ქალის რთული და შინაგანი თუ სოციალური პრობლემებით დაძაბული ყოველდღიურობა. მთავარი გმირის როლს უზადოდ განასახიერებს ნატო მურვანიძე. მხატვრული ფილმი 50 წლის ქალის, მანანას, ცხოვრებას ასახავს, რომლის როლსაც ნატო მურვანიძე ასრულებს. დედა და დიასახლისი დილემის წინაშე დგას. მას უწევს, არჩევანი გააკეთოს ოჯახურ ცხოვრებასა და მთავარ გატაცებას, წერას შორის. მანანა ცხოვრების აზრს წერაში პოულობს.

# ელენე მაცხონაშვილი: „სარჩელი შეტანილია“



თბილისის თოჯინების თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი ელენე მაცხონაშვილი სასამართლოს მიმართავს:

– სამხატვრო ხელმძღვანელების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალში პირველი იყო კანდიდატის წარდგინება და აი, ისიც, გამოირკვა, რომ ჩემი კონკურენტისა და „გამარჯვებულის“, ნიკოლოზ საბაშვილის წარდგინებას გაყალბებული ხელმოწერა აქვს! სარჩელი შეტანილია.

ელენე მაცხონაშვილი ასევე აცხადებს, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობ ანა სანაიას მამამ თოჯინების სახელმწიფო თეატრი უყიდა:

– ამასობაში ანა სანაიას მამამ თოჯინების სახელმწიფო თეატრი უყიდა თავის შვილს... აი, ასე, ადგა და ბარბის სახლივით უყიდა. ანნას, ჯერ მოსწონს ახალი სათამაშო, ერთობა, ცქმუტავს, თამაშობს დირექტორობანას, თეატრობანას... გეგმავს სეზონის გახსნას, მართავს თეატრის გვერდს, მეთვალყურეობას უწევს მშენებლობის პროცესს, ასპონსორებს ანონსებს. სტატუსი არ აქვს, არც სჭირდება, თავისია, სათამაშოა, მამამ უყიდა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ქრისტეფორე კოლუმბის წერილის ასლი აუქციონზე გაიყიდა


Insula hyspana
insule Regis erga nos beniuolentiã ⁊ familiaritatẽ incredibilẽ. Sũt em̃ gẽtes ille amabiles admodũ ⁊ benigne: eo q̃ Rex p̃dictus me fratrem suum dici gloriabat. Et si animũ reuocarent: ⁊ his q̃ i arce manserũt nocere velint: nequeũt: quia armis carẽt: nudi icedũt: ⁊ nimiũ timidi. ideo dictã arcem tenẽtes: dũtaxat possũt totã eã insulã nullo sibi imminente discrimine (dũmodo leges quas dedim⁹ ac regimẽ nõ excedãt) facile detinere. In om̃ib⁹ his insulis vt intellexi: quisq̃ vni tm̃ ɔiugi acquiescit: p̃ter principes aut reges: q̃bus viginti habere licz. Femine magis q̃ viri laborare videnř: nec bene potui intelligere an habeãt bona p̃pria: vidi em̃ q̃ vn⁹ habebat aliis ipartiri: p̃stim dapes / obsonia / ⁊ hm̃oi. Nullũ apd eos monstr̃ reperi: vt plerics existimabant: sed hões magne reuerẽtie atq̃ benignos. Nec sunt nigri velut ethiopes: habẽt crines planos ac demissos nõ degunt vbi radiorũ solaris emicat calor. p magna nãq̃ hic est solis vehementia: pptere q̃ abeqnoctiali linea distat. vbi videtur / gradus sex ⁊ viginti Ex montiũ cacuminib⁹ maximũ q̃s viget frig⁹: sz id q̃dem modetanř In-

ნიუ იორკში გამართულ აუქციონზე გაიყიდა ქრისტეფორე კოლუმბის წერილის ასლი, რომელშიც ამერიკის აღმოჩენაზეა საუბარი. ამ ინფორმაციას აუქციონის სახლისBonhams-ს ვებგვერდი ავრცელებს.

კოლუმბის შეტყობინება განკუთვნილი იყო არაგონის მთავარი ხაზინადარის გაბრიელ სანჩესისთვის, რომელიც შემდეგ ესპანურიდან ლათინურ ენაზე ლეონარდო დი კოსკომ გადათარგმნა.

აღსანიშნავია, რომ წერილი სარეკორდო თანხად, 751,5 ათას დოლარად გაიყიდა.

## ინგლისში სქელთმიანი და მიწის თხილის ფორმის ყურებიანი ბავშვი დაიბადა



ბრიტანეთის ლანკაშირის საგრაფოს ქალაქ ფარნვორტში მცხოვრებ წყვილს შეეძინათ სქელთმიანი გოგონა.

გოგონა, სახელად პიკსი როუზი, მიმდინარე წლის ივლისში დაიბადა. დედამისის, 32 წლის ჯენიფერ მასტერსის თქმით, ახალდაბადებულის სქელმა თმამ არა მხოლოდ ის, არამედ სამშობიაროს პერსონალიც კი გააკვირვა.

– მე, რა თქმა უნდა, ვამაყობ. ჩემი ორი შვილი, რაიანი და კელსიც, თმიანები დაიბადნენ, მაგრამ პიკსიმ ყველას აჯობა, – განაცხადა ბავშვის დედამ.

აღსანიშნავია, რომ სქელი თმების გარდა, პიკსი კიდევ ერთი რამითაცაა გამორჩეული. გოგონას აწუხებს მიკროტია – მარჯვენა ყურის თანდაყოლილი განუვითარებლობა. ის ფორმით მიწის თხილს ჰგავს და ამ ყურში გოგონას სმენა არ აქვს.


# სამგლოვიარო განცხადებები

შპს კორპორაცია „კოლხას“ დირექცია თანაუგრძნობს ამავე კორპორაციის თანამშრომელს კონსტანტინე კავილაძეს დედის

**ნუნუ ხუნდაძე-კავილაძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**


**კალეიდოსკოპი**

## ამერიკელი გოგონა არალეგალურ პლასტიკურ ოპერაციას ემსხვერპლა



ქალაქ ნიუ იორკის მცხოვრები ქალბატონი არალეგალური კოსმეტიკური ოპერაციისთვის დახმარების გაწევის ბრალდებით დააკავეს, რომელიც პაციენტის დაღუპვით დასრულდა.

44 წლის ელისონ სპენსი მედდის მოვალეობას ასრულებდა არალეგალური პლასტიკური ქირურგიული ოპერაციის დროს, რომლის დროსაც დუნდულების ზომის გასადიდებლად სილიკონის ინექცია კეთდებოდა. ქალი ასევე იმითაც იყო დაკავებული, რომ პაციენტებს დანკინ დონატსის რესტორანში ხვდებოდა და შემდეგ ისინი ბინაში მიჰყავდა.

მას არალეგალური სამედიცინო პრაქტიკისა და ლატეში ბინუმის წინასწარგანზრახვით მკვლელობის ბრალდება წაუყენეს. ქალს ივლისში სილიკონის ინექცია გაუკეთეს, რამდენიმე საათში კი მან სამაშველო სამსახურში დარეკა და მკერდის არეში ტკივილისა და თავბრუსხვევის თაობაზე განაცხადა. როდესაც სასწრაფო დახმარება ადგილზე მივიდა, ბინუმი უკვე უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა, 12 დღის შემდეგ კი ის გარდაიცვალა.

გარდაცვალების მიზეზი გახდა გართულებები, რომლებიც პლასტიკური პროცედურის შედეგად წარმოიქმნა. კუნთებში ინექციის შეყვანის დროს სილიკონის ნაწილაკები სისხლში მოხვდა და სისხლძარღვების დაცობა გამოიწვია.

ბრალდებულის და, ლიზა, აღნიშნავს, რომ ელისონი პაციენტის დაღუპვაში დამნაშავე არ არის, ვინაიდან ის მხოლოდ ინექციის შეყვანის ადგილას მდებარე კუნთების მასაჟით იყო დაკავებული და თავად ინექცია არასოდეს გაუკეთებია. ის ასევე ამტკიცებს, რომ არალეგალმა ექიმმა მიმალვა მოასწრო, მაგრამ პოლიციას მისი ფოტოსურათი აქვს.

## ჯიმ კერიმ საკუთარი სურათების გამოფენა გახსნა




ჰოლივუდის მსახიობმა ჯიმ კერიმ ლას-ვეგასის გალერეაში Signature Gallery-ში საკუთარი პერსონალური გამოფენა გახსნა.

ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მსახიობი აქტიურად იყო დაკავებული ფერწერითა და ქანდაკებით. ის ამ შემოქმედებაში მთელი არსებით იყო ჩაბმული. შედეგად მისი ნამუშევრების ხილვა ლას-ვეგასშია შესაძლებელი. გამოფენას ეწოდა „მზის წვიმა“.

ეს მხატვრად ქცეული მსახიობის პირველი დიდი გამოფენაა. თუ 2011 წლის მცირე პროექტს არ ჩავთვლით, სახელწოდებით „აქ სანახავი არაფერია“, რომელიც პალმ-სპრინგსში შედგა, ძირითადად ჯიმ კერი საკუთარ შემოქმედებით ამბიციებზე დუმილს ამჯობინებდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# პროგრამა

**ოთხშაბათი**
**2 ოქტომბერი**

**06.00** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **06.30** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა მორგან ფრიმანთან ერთად " **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მხიარული ფერმა" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 02.45** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30, 03.45** დღის მხ/ფ "**აფრიკის დედოფალი**" (ჰ.ბოგარტი) **14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 05.25** დოკ/ფ "სტოუნჰენჯი" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** "არჩევნები" **22.30** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **23.30** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **23.50** მხ/ფ "**პატრიოტი**" (ჰ.ლეჯერი)

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ გთავაზობთ.**

**06.30, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.00** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.30** კონცერტი: ანრი ჯოხაძე **00.30** მხ/ფ "**სიყვარული და ღირსება**" **02.10** მხ/ფ "**არეულობა**" **04.15** მხ/ფ "**იმიტაციის თამაში**"

**06.00, 18.50** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **22.00** მხ/ფ "**შემთხვევითი პაემნები**" **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

**08.00** ან/ფ "ატომი" **09.00** სერ. "**ცისფერი სისხლი-2**" **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები-2**" **13.00** სერ. "**ძვლები 8**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება: საძღვარგარეთ**" **19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი-2**" **21.00** სერ. "**სპირალი 3**" **22.30** სერ. "**ბორჯია**" **00.30** მხ/ფ "**ჩარლისა ანგელოზები**" **02.00** მხ/ფ "**ჩარლის ანგელოზები 2**" **04.00** მხ/ფ "**მოსამსახურე**" **06.15** მხ/ფ "**ჩვენ მარშალი ვართ**"

**08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 04.40** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.00** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** პანორამა **00.00** სერ. "**შავი სია**" **3.40** ცენზურის გარეშე

**06.15** ღვთის სახლი "დოლისყანა" **06.50** პატერიკი-"დოროთე" **06.55** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური "ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი" **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-ფერმერები" **08.55** შვიდგზის ლოცვა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** ქვიშანი დარჩებიან **10.40** დეკორატიული ფლორა "ზამბახი" **10.50** საქართვველოს დაცული ტერიტორიები "ვაშლოვანის დაცული ტერიტორია" **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ქეთო და კოტე**" **13.40** ან/ფ "მძინარე მზეთუნახავი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი" **15.50** სპექტაკლი "**პატარა უფლისწული**" **17.10** კონცერტი **18.10** მოკ. მხ/ფ "**მჭედელი**" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** დ/ფ "სამთავროს დედათა მონასტერი" **19.50** საქართველო ევროპულ ოჯახში-"განათლება" **20.40** ძილი ნებისა "საუბარი ეკლესიაზე" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი-"თავმდაბლობისა და მცირედმორწმუნეობის შესახებ" **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** შარავანდედი-"სანდრო ახმეტელი, გიორგი ახვლედიანი" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "წინასწარმეტყველი ესაია" V ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ანტონ II" 2 **23.45** ღვთის სახლი "ყინწვისი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** ეპოქა და ადამიანები "ცასწავალა...გოდერძი ჩოხელი" **01.30** მხ/ფ "**მამლუქი**"

**მაესტრო** **10.00 - 23.00** ახალი ამბები - მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.12 - 03.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 17.30 - 03.30** ბიზნესი (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.45 - 03.45** ტექნოლოგიები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.48 - 03.50** სპორტი (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**2 ოქტომბრისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4767

ევრო — 2.9252

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3158

100 რუსული რუბლი — 4.2843

**ამინდის პროგნოზი 2 ოქტომბრისთვის**





**3 ოქტომბრიდან**




იორამ ჩადუნელი

**საზღაური**

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

**19 სექტემბრიდან**

ალექსანდრე იასალაშვილი

**„მგლის ბილიკი“**

ქართული დეტექტივი, ტომი 1




**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

**21 სექტემბრიდან**




**გიგო გაბაშვილი**

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**22 სექტემბრიდან**




ალექსანდრე იასალაშვილი

**შავი ვარდი**

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

**28 სექტემბრიდან**

მანანა ხვედელიძე

**ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია**




**ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი**


## ბიბლიოთეკამ მელანია ტრამპის ნაჩუქარი წიგნები არ მიიღო



ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ კემბრიჯპორტის სკოლის ბიბლიოთეკამ უარი თქვა წიგნების მიღებაზე, რომელიც აშშ-ის პირველმა ლედიმ მელანია ტრამპმა აჩუქა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მელანიამ სკოლებს 10 წიგნისგან შემდგარი კრებული გაუგზავნა, რომლის ავტორი საბავშვო მწერალი დოქტორი სიუზია, მაგრამ ბიბლიოთეკარმა ლიზ სოეირომ საჩუქარზე უარი თქვა და განაცხადა, რომ სკოლაში წიგნების ნაკლებობა არ აქვთ.

გარდა ამისა, ბიბლიოთეკარმა პირველ ლედის გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნა, რომ წიგნების ზოგიერთი ილუსტრაცია „რასისტული“ შინაარსისაა.

– თქვენ და თქვენი მეუღლე უშუალო ზეგავლენას ახდენთ ამერიკელ ბავშვებზე. გირჩევთ, უფრო მეტი ყურადღება დაუთმოთ იმას, რომ მათზე უფრო მეტი გაიგოთ და დააფასოთ, – დაწერა სოეირომ.

მან წერილს ასევე თან დაურთო იმ წიგნების სია, რომლებსაც ის ბიბლიოთეკისთვის შესაფერისად მიიჩნევს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რაში სჭირდება თემიდას სასწორი?

– რომ აწონოს, ვინ რამდენს მისცემს.

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– გამარჯობა, აბა, როგორ არის საქმე?

– ვერაფრით გაგახარებ.

– ნუთუ ყველაფერი ასე კარგადაა?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როგორ ქალებს ატარებენ კაცები ხელში აყვანილს?

– რომლებიც კისერზე არ ასხდებიან.

•••

ქალური ლოგიკა: ელოდება პრინცს, შემდეგ კი აღშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ ის დივანზეა წამოწოლილი და მუშასავით ან გლეხივით ცხრაპირ ტყავს არ იძრობს შრომით.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა არის სინათლის სიჩქარე?

– რა და, როდესაც მაცივრიდან ლუდის ბოთლის გამოღებას მანამდე ასწრებ, სანამ სინათლე აინთება.

•••

კბილის ექიმის კაბინეტში. ექიმი პაციენტ ქალს ეუბნება:

– ძვირფასო, მიდი ერთი შენებურად, გულისშემძვრელად დაიკივლე!

– რატომ უნდა დავიკივლო, ექიმო, საერთოდ ვერ ვგრძნობ ტკივილს.

– გთხოვ, თქვენი რა მიდის?! გარეთ ისეთი რიგია, რომ ფეხბურთის ყურებას ვერ შევძლებ!!!

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– ეს თქვენ არ იყავით, გუშინ ღამით მაგიდაზე საცვლების ამარა რომ ცეკვავდით?

– როგორც ჩანს, ადრე წასულხართ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ვარსკვლავებმა ბორჯომისთვის დინამო არენაზე ითამაშეს




„დინამო არენაზე“ საქველმოქმედო შეხვედრა სახელწოდებით – მსოფლიოს ვარსკვლავები საქართველოსთვის – გაიმართა. მატჩი, რომელიც პირობითად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და მსოფლიოს თერთმეტეულებს შორის შედგა, მსოფლიო თერთმეტის გამარჯვებით 6:5 დასრულდა.

საქველმოქმედო შეხვედრაზე დასასწრები ბილეთების რეალიზაციიდან შემოსულ თანხას, 300.343 ლარს, 2 სექტემბრის მატჩის, საქართველო-ირლანდიის ბილეთების გაყიდვიდან შემოსული 102.871 ლარი დაემატა და ბორჯომის ტყის რეაბილიტაციის ფონდში, საერთო ჯამში, 403.214 ლარი გადაირიცხება.

მატჩის დაწყებამდე ბორჯომის ტყეში გაჩენილი ხანძრის ლიკვიდაციაში მონაწილე მეხანძრე-მაშველებმა საფეხბურთო მოედანს საპატიო წრე დაარტყეს და შეკრებილ გულშემატკივარს მიესალმნენ.

დინამო არენაზე კი კიდევ ერთხელ სერიოზულმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ამ ვარსკვლავების უმეტესობას თბილისში ადრეც უთამაშია. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც თბილისში „დებიუტი“ ჰქონდათ.

ასაკი, წონა ჭარბად იყო, შენელებული ფეხბურთი, მაგრამ კლასიანი... ზოგიერთი ისეთ ფორმაში იყო, ბევრ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეს შეშურდებოდა. ფრანჩესკო ტოტი კარიერის დასრულების შემდეგ პირველად მოედანს თბილისში დაუბრუნდა და რა ფორმაში იქნებოდა, ნათელია. გაკვირვებული დავრჩით ზვონიმირ ბობანისა და მიჩელ სალგადოს თამაშით. სებასტიან ფრეიმ „იფრინა“ და ისეთი ბურთები აიღო, ბევრი მოქმედი მეკარე მოაწერდა ხელს. ისევ ჩინებულ ფორმაშია ანდრეი შევჩენკო, რომელსაც იმ დღეს იუბილე ჰქონდა და ძალიან უნდოდა გოლის გატანა. ეს სადღაც მიწურულში მოახერხა. 2 გაიტანა ლუკა ტონიმ, რომელსაც საგოლე ალღო არ დაუკარგავს – არც ფეხით, არც თავით. კაფუმ ბრაზილიურად გაიტანა, ტექნიკურად. ტოტიმ საერთოდ ისეთი შეაგდო, ფეხბურთელებისას რომ იცოდა – შორიდან დააქუხა, იაშვილ-დემეტრაძემაც გაუტანეს ვარსკვლავებს. ბოლოს მარკო დელვეკიომ გაიტანა, ზუსტად ისეთი, როგორც ფეხბურთელობის დროს თბილისში, 2001 წელს...

შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუმცა ყველა მოსაგებად იყო მოედანზე, ბოლოს მსოფლიოს ვარსკვლავურმა გუნდმა 6:5 მოიგო.

ვარსკვლავური შემადგენლობები კი ასეთი იყო:

**სფფ 11:** კრისტიან აბიატი, სებასტიანო როსი; ივან კორდობა, კაფუ, ჯუზეპე ფავალი, ალესანდრო კოსტაკურტა, კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი, კახა ცხადაძე, ზვონიმირ ბობანი, დემეტრეო ალბერტინი, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი ქინქლაძე, ლევან კობიაშვილი, გოჩა ჯამარაული, გიორგი დემეტრაძე, ლევან ცქიტიშვილი, ერნან კრესპო, კევინ კურანი, მიხეილ ყაველაშვილი, ანდრეი შევჩენკო.

**მსოფლიო 11:** სებატიან ფრეი, დიდა; პაოლო მალდინი, მაურო ტასოტი, მასიმო ოდო, ვინსენტ კანდელა, დარიო სიმიჩი, პიეტრო ვერხოვოდი, ენრიკო ანონი, მიჩელ სალგადო, ხავიერ ძანეტი, იბრაჰიმ ბა, მასიმო ამბროზინი, დინო ბაჯო, ლუიჯი დი ბიაჯო, მარეკ იანკულოვსკი, ანჯელო დი ლივიო, ბენიტო კარბონე, რივალდო, ლუკა ტონი, მარკო დელვეკიო, ფრანჩესკო ტოტი.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## მესამე „სექსი დიდ ქალაქში“ არ იქნება



სრულმეტრაჟიან ფილმს „სექსი დიდ ქალაქში-3“-ს არ გადაიღებენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

გამოცემას ამის შესახებ სარა-ჯესიკა პარკერმა განუცხადა, რომელიც ამავე სახელწოდების სერიალსა და წინა ორ სურათში კერი ბრედშოუს როლს ასრულებდა. მსახიობმა დაადასტურა, რომ სერიალის ფანები ააღელვა იმ ფაქტმა, რომ კიმ კეტროლის (სამანტა ჯონსი) მოთხოვნით პროექტი თაროზე შემოდეს.

– ყველაფერი დასრულდა... ჩვენ ამით აღარ ვიქნებით დაკავებული, – განუცხადა მან კორესპონდენტს. მსახიობმა იქვე დაამატა, რომ იმედგაცრუებულია, ვინაიდან სცენარი „შესანიშნავი, სასაცილო, გულისშემძვრელი“ იყო. ასევე მან აღიარა, რომ პროექტზე უარის თქმამ გული ატკინა არა მხოლოდ მას, არამედ ფილმის „სექსი დიდ ქალაქში“ თაყვანისმცემლებსაც.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ბავშვების საყვარელი ტყუილი; 5. ღმერთების ხელმწიფე ვედიზმის მიხედვით; 7. კლასიკური ჭიდაობის ილეთი; 9. სამაგიეროს გადახდა; 10. ცალთვალა დევი ბერძნულ მითოლოგიაში; 13. რაიმე ნაგებობის საწყისი ჩონჩხი; 14. ავეჯის ნაწილი; 15. ლარნაკი; 19. ... ჩელენტანო; 20. საუკეთესო, სრულყოფილი; 21. იტალიური „ნიღბების კომედიის“ მხიარული პერსონაჟი; 22. ტკბილი თხევადი საჭმელი.

**შვეულად:** 1. პატარა ეკლებიანი ცხოველი; 2. ტროპიკული ქარი; 3. რაიმე საგნის სწავლების წესები; 4. მუქი ლურჯი საღებავი; 6. ნატეხი შაქარი; 8. ავი სული; 11. უცხოეთიდან ჩამოსული მსახიობის ან დასის გამოსვლა; 12. უბედურებებით სავსე ყუთის მფლობელი ქალი ბერძნულ მითოლოგიაში; 16. საგრილობელი; 17. სამოთხე; 18. მზის სისტემის პლანეტა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

